ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 31 (1317)

7-14 აგვისტო, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას ველოდით, მოვესწარით!..
ანუ
„და დადგეს ერად სხვა ერთა შორის!“

...ლახად, დაუსჯელად ხელწამოსაკრავი არ იქნება საქართველო!..

როცა საქართველოს, ქართველს სხვადასხვა, მაღალ თუ დაბალ, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონეებზე, ღონისძიებებზე „რუსეთად“, „რუსად“ აღარ (ვეღარ) მოიხსენიებენ!..

როცა „ჯორჯიის“ ხსენებაზე მარტო ამერიკის ერთ-ერთი შტატი აღარ გაახსენდებათ!..

და ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი „როცა“ მოხდება!..

დღეს კი...

საზეიმო განწყობილება არ იგრძნობა ხალხში ამ დიდი მოვლენის გამო, არც კი უკვირთ ეს ამბავიო! — აღშფოთებას ვერ ...ავს ზოგი.

ასე რომ, ერთი ეს გაეროლა რჩებოდა, და — იქაც მიგვიღებენ, აბა რა იქნებაო! — წინასწან „შეიჩვია“ ხალხმა ეს ამბავი.

მიგვიღეს და — უნდა მივიღეთ, აბა რა უნდა ექნათო! — ასე იცის წინასწარ შემზადებამ...

ეს იმის ნიშანიცაა, რომ ადამიანებში ფსიქოლოგიური გარდატეხა ხდება, მოიხსნა ერთგვარი არასრულყოფილების კომპლექსი (რაც ყველა არათავისუფალი ხალხისთვისაა დამახასიათებელი)!

დაკომპლექსებული, „ხბოს აღტაცებით“ მოზეიმე, გაკვირვებული ერი კი ვერ დადგება „ერად სხვა ერთა შორის“!..

X X X

საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრია!

დავუკვირდეთ, „გაერთიანებული ერები“ ანუ მსოფლიო ხალხთა ოჯახი.

ხუთიოდე წლის წინ წარმოუდგენელიც კი იყო, რომ საბჭოეთის „დიადი ოჯახიდან“ ასე მალე მართლაც დიდი ოჯახში გადავიცვლებდით (გახსოვთ, რომ ითქვა, საქართველო 2000 წლისთვის იქნება დამოუკიდებელიო, ბევრს გაეცინა, ასე სწრაფად რა მოახდენს ამ სასწაულსო!). არადა, უფრო სწრაფად მოხდა!..

და ამ ოჯახში შევდით სრულუფლებიან, სასურველ წევრად!

ეს ისეთი ფაქტია, რაგინდარა ამაღლებული სტილი, ეპითეტებიც სრულად რომ ვერ გამოხატავენ მის, მართლაც ისტორიულ მნიშვნელობას.

ეს შემდეგ უფრო გამოჩნდება —

როცა მავანი სახელმწიფოსა თუ სახელმწიფოებისთვის ვაგ-

ჩვენ ეს „არასაზეიმო განწყობილებაც“, არგაკვირვებაც კარგ ნიშნად მიგვაჩნია. (თუ ამ არგაკვირვებულებში იმ ხალხს არ ვიგულისხმებთ, რომელთაც საქართველოს წარმატება ამ ეტაპზე არ აწყობთ).

აღარ უკვირთ იმიტომ, რომ მივეჩვიეთ (უფრო ზუსტად, — ვთქვათ სიმართლე,— მიგვაჩვია ერთმა კაცმა) საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას!..

დიახ, ეს არგაკვირვება, „არასაზეიმობა“ იმის „ბრალიცაა“, რომ 31 ივლისს წინ უსწრებდა... რა ჩამოთვლის — ეს ჰელსინკის პროცესის წევრობაო... ეს — საერთაშორისო სავალუტო ფონდში, ფიფაში, უეფაში, შესვლაო... ეს — ლამის ყოველდღე დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება დიდ თუ მცირე ქვეყნებთანო... ეს — გენშერ-ბეიკერ-დემირელის ვიზიტიო... და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ ვერანაირი დიდი ოჯახი ვერ გიშველის, თუ შინ, საკუთარ ოჯახში არა გაქვს მშვიდობა.

საქართველოში კი, სამწუხაროდ, არაა სრული მშვიდობა.

ამ მშვიდობის, სამოქალაქო თანხმობის დამკვიდრების, ეროვნული შერიგებისთვისაა მოწოდებული სახელმწიფო საბჭოს მანიფესტი.

სიმბოლურია, რომ 4 აგვისტოს, თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მიღებისადმი მიძღვნილ ზეიმზე (როგორც ვხედავთ, ზეიმიც იყო!) იქნა წაკითხული ეს მანიფესტი ბატონ **ედუარდ შევარდნაძის** მიერ.

დოკუმენტი მიღებულია, გზა ხსნისა მოცემულია, ახლა „მხოლოდ“ მანიფესტის ცხოვრებაში გატარება, ამ გზაზე სიარულია (სწორად სიარული!) დარჩენილი!..

ღმერთმა უშველოს ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს, ამაზე დიდ საჩუქარს იგი ვერ მოგვიმზადებდა, ღმერთმა უშველოს საქართველოს, მხოლოდ ხელი ცოტა თავადაც გავანძრიოთ და ღმერთი დასტურ გვიშველის!..

გაზეთ „საქართველოს“
რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება

1992 წლის 14—15 აგვისტოს გაიმართება საქართველოს სახალხო ფრონტის კონფერენცია.

რეგიონალურმა სახალხო ფრონტებმა 10 აგვისტომდე წარმოადგინონ დელეგატთა დაზუსტებული სიები მანდატების მისაღებად. დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება 14—15 აგვისტოს 10 საათიდან. კონფერენციის დასაწყისი 11 საათზე.

მისამართი: ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი № 7 (ცეკავშირის შენობა).

საქართველოს სახალხო ფრონტის
საორგანიზაციო განყოფილება

„საქართველო“ და საქართველო

საიდან იწყება გაზეთი?

ყველაზე მარტივი და სწორი პასუხი ამ რთულ (მართლა რთულ) კითხვაზე ასეთი იქნება: გაზეთი იწყება სახელწოდებიდან.

დიახ, ისევე როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე, ყოველ გაზეთსაც თავისი სახელი აქვს. აბა, სცადეთ და უსახელწოდებო გაზეთი წარმოიდგინეთ... ხომ წარმოუდგენელია?!

დღეს, ამ უქაღალდობის, სასტამბო და საგამომცემლო ხარჯების ზრდის პერიოდში, როცა კატასტროფულად იზრდება გაზეთების რაოდენობა, თუ იცით, ყველაზე მეტად რა უჭირთ ახალ-ახალი გაზეთების დამფუძნებელ-გამომცემლებს?.. დიახ, დიახ, სახელწოდების მოფიქრება. ყველა ლამაზი, ორიგინალური, მიმზიდველი, შინაარსიანი სათაური უკვე „ათვისებულია“ და არის ერთი თავის ტეხა, ძველი გაზეთების სახელწოდებებისთვის, როგორც იტყვიან, ახალი სიცოხლის შთაბერვა...

არც ჩვენს გაზეთს აქვს ორიგინალური, პირველადი სახელწოდება (ოღონდ არა სათაურების დეფიციტის გამო — ამის შესახებ ქვემოთ).

ასე დაიწყო „საქართველომ“

სადღეისო საკითხი ძალების თავმოყრა და დარაზმვაა, ხვალ მათი ამოძრავება გვჭირდება დიადი კულტურული შემოქმედებისათვის.

იმედი გვაქვს და არც ვეკრძალვით გულწრფელად და თამამად იმის თქმას, რომ ჩვენი გაზეთი ასეთ ორგანოდ გადაიქცევა. იგი არ იქნება არც ვიწრო კლასობრივი, არც ვიწრო ჯგუფობრივი. ის ეცდება კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებს ანაცვალოს, პარტიული მართლმორწმუნეობა — სულიერ ხალვათობას და მუდმივ იჭვიანობას თავისუფალი ძიება დაუპირისპიროს.

რასაკვირველია, ჩვენ არ უარვყოფთ არც კლასების არსებობას, არც მათ შორის არსებულ ბრძოლას. ისიც კარგად ვიცით, რომ ეს ბრძოლა თანამედროვე საზოგადოებაში ხშირად მეტისმეტად მძაფრი და სასტიკია. მაგრამ ეს გარემოება, ჩვენის აზრით, ეროვნების ორგანიულ მთლიანობას არ არღვევს. პირიქით, ეროვნული მთლიანობა სწორედ ამ სხვადასხვაობაში ვლინდება. ესეც არ იყოს, კლასობრივ და წოდებრივ ინტერესებს ჩრდილავს საერთო ეროვნული ინტერესები, რომელიც ძვირფასი უნდა იყოს ყოველი შეგნებული მამულიშვილისათვის.

თანამედროვე კულტუროსანი ეროვნება გმირ-დევთა სიმაგრეს ჰგავს, სხვა და სხვა სახის ლოდებისგან აშენებულს. ეს ცეხე-სიმაგრე დაიშლება თუ ერთი რომელიმე კოშკი მოიშალა. ამიტომ გათვითცნობიერებულ ერს ფხიზელი დარაჯი უნდა ჰყავდეს ყოველ ადგილას.

ნამდვილი თავისუფლების მოპოვება მხოლოდ ისეთ ერს შეუძლია, რომელმაც სათანადო დისციპლინა და საქმიანობის უნარი გამოიჩინა ეკონომიურ სფეროში. ჩვენ, დღესდღეობით, საწუხაროდ, ერთიც გვაკლია და მეორეც. ამიტომ ჩვენს მატერიალურ კულტურას ანარქიის და მცონარობის ბეჭედი აზის. ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა, ჩვენის აზრით, კერძო ინიციატივის გაღვივებით და ეკონომიური ორგანიზაციების მოწყობით შეიძლება. ერთი არ უარყოფს მეორეს.

კლასიკური ქართული ენის დაცვა ჩვენს უპირველეს დანიშნულებას უნდა შეადგენდეს. ეს ენა იმდენად მდიდარი და ფაქიზია, რომ ადვილად ხატავს ულრმეს ფილოსოფიურ იდეებს და უნაზეს პოეტურ ემოციებს. რა თქმა უნდა, ის მეცნიერული და ტექნიკური ტერმინებითაც უნდა გამდიდრდეს და თანამედროვე მოთხოვნილებას შეუფარდდეს, მაგრამ ეს შეფარდება ისე უნდა მოხდეს, რომ ძალდატანებით არ გაწყდეს ძაფი წარსულსა და აწმყოს შორის. ამისათვის კი საჭიროა სასტიკი ბრძოლა და ბაბილონის ენათა შერევასთან და ჟარგონთან, რომელიც რყვნის და აბერავებს ქართულ აზროვნებას.

ჩვენი მწერლობა, მხატვრობა, ხურუთმოძღვრება ეროვნულ ნიადაგს უნდა დაეყრდნოს და დიდ ისტორიულ ნიშუშებში ეძიოს წყაროები შთაგონებისა და აღფრთოვანებისა. ძველი ქართული დიდებული ნაწერები, ტაძრები, ფრესკები და რელიეფები უფრო მეტს ასწავლის თანამედროვე ქართველ მგოსნებსა და მხატვრებს, ვიდრე უცხოური ხელოვნების ნიმუშები. მათი შემოქმედებაც უფრო ძალღონიანი და ახოვანი გახდება, თუ უნიჭო წაბაძულობას თავიდან აიცდენენ და სამშობლოს ნიადაგს დაეყრდნობიან.

მაგრამ ჩვენ ვიცავთ ეროვნულ თავისებურებას და არა განკერძოებას ან კარჩაკეტილობას. ჩვენ ყველაზე მეტად გვწყურია ევზიაროთ თანამედროვე მოწინავე ერების ბრწყინვალე კულტურას. არ გვინდა მხოლოდ, რომ ეს ზიარება შეუგნებელ მიმდევობად გარდაიქცეს. არც ის გვინდა, რომ ერთი რომელიმე ერის გაელენას დავემორჩილოთ პასიურად. იმ დიდ იდეათა შორის, რომელნიც კულტუროსან ერებს აღელვებენ, შერჩევა უნდა მოხდეს ჩვენი ბუნებისა და მოთხოვნილებების მიხედვით. უამისოდ თავს ვერ დავაღწევთ უმწეო და მონურ წაბაძულობას, რომელიც უნიჭო და სუსტ ერთა ხვედრია.

უეჭველია, ყველა ამ მიზნის განხორციელებას რწმენა და აღფრთოვანება სჭირია. დიადს საქმეს მხოლოდ დიადი ენთუზიაზმი შობს. მაგრამ ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საქართველოში ბლომად მოიპოვება ის მდუღარება სულისა, რომელმაც ჩვენს შორეულ წინაპრებში ამდენი გმირობა და თავგამოდება გამოიწვია.

ამიტომ არის, რომ მომავალს შეურყევი რწმენითა და იმედით შევცქერით.

* * *

როგორ ფიქრობთ, როდისაა დაწერილი ზემორე წარმოდგენილი სტრიქონები, რომელთაგან ბევრი ესოდენ აქტუალურია სადღეისოდ?

დაწერილია... **77 წლის წინ** და არის გაზეთ **„საქართველოს“** საპროგრამო განცხადება.

დიახ, „საქართველოს“ პირველი ნომერი 77 წლის წინ, **1915 წლის 24 მაისს გამოვიდა!**

იშვიათია გაზეთი, ისე პირნათლად რომ შეესრულებინოს თავისი დაპირება, პროგრამა, როგორც „საქართველო“ ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ახლოს იდგა, გამოხატავდა ჯერ „ნაციონალ-დემოკრატთა ჯგუფის“, შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეებს, პოზიციას, არასოდეს ყოფილა ვიწრო პარტიული გაზეთი, მისთვის მთავარი იყო ეროვნული ინტერესები, ამ ინტერესების დაცვა.

ეს კი არცთუ ადვილი, უხიფათო იყო მაშინ, იმ პერიოდში, როცა საქართველო „სოციალიზმის სიგიჟეს“ ჰყავდა შეპყრობილი, როცა „ეროვნება“ და „ეროვნული“, რბილად რომ ვთქვათ, „მოდაში“ არ იყო.

ამიტომაც, პირველ ყოვლისა, ამ „სიგიჟეს“, ეროვნებისა და ეროვნულის ამ უმთავრეს მტერს აღუდგა წინ გაზეთი. 1915 წლის დეკემბერში, გაგრძელებებით დაბეჭდილ ვრცელ წერილში „სოციალისტური აზროვნების შედეგები“, ნაჩვენებია, გამთაშკარავებულია ამ „მოძღვრების“ მავნე არსი, ის უბედურებანი, რაც უკვე მაშინ დააწია მან ქართულ ხასიათს:

„... ამგვარად, სოციალიზმმა და ინტერნაციონალიზმმა ჩვენში თავდაუცველობის ფსიქოლოგია შეჰქმნეს; მათ გააბატონეს საზოგადოთ საკუთრების და კერძოდ ეროვნული საკუთრების მოუვლელობისა და უდარდელი გაბოძების ფსიქოლოგია.

ამ მოძღვრებათ დააბაბუნეს საქართველო როგორც ერი და წარმოშვეს უსასოების ყველა თვისება. საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნებაზე მათ გაამეფეს თანდათანი შეკუმშვის, მოკრუნჩხვისა და თავის დაპატარავების იდეოლოგია, რაიცა ჰკლავს ყოველგვარ მოქმედებას და ცხოველმყოფელობას. ეს იდეოლოგია არ არის წმინდა ხალხური იდეოლოგია. იგი ბუნებრივი და თანდაყოლილი ფუნქციაა, ამ, ჩვენში გაბატონებული სოციალიზმისა და ინტერნაციონალიზმისა. ეს არის იდეოლოგია სოციალისტური პრინციპის ხიბაბუნისა და უმწეობისა ეროვნულს შემოქმედებაში და ძალად არის მოხვეული ქვეყნის თავზე. იგი თვით პრინციპის ნაკლია.

ხოლო რადგანაც ჩვენში პოლიტიკურ-ორგანიზაციულად სოციალისტები ბატონობენ, ამისთვის მათი პირადი უნიათობა მთელს საქართველოს ამგვარ ელფერს აძლევს, მათი მოძღვრების ბუნებრივი ფსიქოლოგიური შედეგი მთელს ქვეყანას შემოქმედების და გაზრდის ენერგიას უხშობს.

... დღეს განსაკუთრებით საჭირო იყო ეროვნულად ამაღორძინებელი პრინციპის წამოყენება და ხალხის ეროვნული გათვითნობიერება-შედუღება... დღეს უნდა თამამად ვქადაგებდეთ ეროვნული სხეულის გაშლას და არა შეკუმშვას. ყველა ამის ნაცვლად სწორედ დღეს იგივე სოციალიზმი ჰქადაგებს ჩვენში მაზრების გაბოძების საჭიროებას, საქართველოს ტერიტორიისათვის მთელი ერთი მეექვსედის ჩამოცლას. სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი სწორედ დღეს „ასაბუთებს“, რომ საქართველოს უფლება არა აქვს ეროვნული თავისუფლება მოითხოვოს...“.

არ დაგვავიწყდეს ეს წინასწარმეტყველური სტრიქონები 1915 წელსაა დაწერილი!

საწუხაროდ, როგორც წესი, წინასწარმეტყველებს საკუთარ ქვეყანაში ყურს არ უგდებენ. „საქართველოს“ ეს და სხვა, მსგავსი გაფრთხილებანიც რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა...

ისტორიას ხშირად მწარე ხუმრობა უყვარს. სამოდე წლის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში სწორედ სოციალისტ-ინტერნაციონალისტები აღმოჩნდნენ.

გაზეთი „საქართველო“, როგორც ეს ჭეშმარიტად ეროვნულ გაზეთს მოეთხოვება, სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას **გვერდში ედგა** ყველა დადებითი საქმის კეთებისას, და ილაშქრებდა იმ არადადებითის წინააღმდეგ, რასაც აგრეთვე ხელისუფლება აკეთებდა...

ნათქვამია, გაზეთი საზოგადოებრივი ცხოვრების სარკე უნდა იყოსო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „საქართველო“ 1917—1920 წლების საქართველოს ცხოვრების ერთი ყველაზე უტყუარი, პირუთვნელი სარკე, წყაროა. არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, რამეთუ მისი მუდმივი ავტორები იყვნენ, აქ ბეჭდავდნენ ეროვნული ტკივილებით გაჯერებულ წერილებს გერონტი ქიქოძე და ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი და რეზო გაბაშვილი, გიორგი გვაზავა და მოსე ჯანაშვილი, სპირიდონ კედია და ალექსანდრე ასათიანი, ეკატერინე გაბაშვილი და შალვა ამირეჯიბი, ტიციან ტაბიძე და პაოლო იაშვილი, სანდრო შანშიაშვილი და ალექსანდრე ახმეტელი...

შემთხვევითი არაა, რომ ამ წერილებს დღეს ქართული გაზეთები ეგზომ ხშირად გადაბეჭდავენ ხოლმე...

და დღეს დაწერილი გგონია კაცს ისინი!

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეროვნული ტკივილები დროის მდინარებას არ ემორჩილება...

ასევე აბრძოლებს „საქართველო“

რისთვის დაგჭირდა „საქართველოსთან“ დაკავშირებული მცირე ისტორიული ექსკურსის გაკეთება?

იმისათვის, რათა ესკიზურად გვიჩვენებინა, რომ „ის“ „საქართველო“ (1921 წლის თებერვალში დახურეს მთლად წითელმა სოციალისტ-ინტერნაციონალისტებმა) მხოლოდ წარსულის, ისტორიის კუთვნილება არ უნდა იყოს, ისევ უნდა „გამოდიოდეს“ — აღდგენილი სახით, თვალნათლივ(აც), — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, — მუდამჟამს უნდა გვახსენებდეს თუ ვისი „გორისაა“ „ეს“ „საქართველო“.

ამიტომ დღეიდან ჩვენს გაზეთს ვაწერთ: **„გამოდიოდა 1915—1921 წლებში, აღდგენილია 1989 წელს“.**

შესაბამისად, ოცელით, უფრო სწორად, „იქიდან“ ვაგრძელებთ გაზეთის ნომერთაღრიცხვასაც (დახურვამდე გამოვიდა 1241 ნომერი).

ახლა იმის შესახებ, რამდენად ღირსია ამჟამინდელი „საქართველო“ ძველი „საქართველოს“ შემკვიდრედ „ოფიციალურად“ გამოცხადებისა.

ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვით (სხვათა შორის, მეტისმეტი, ხაზგასმული თავმდაბლობა იგივე შეფარული ტრაბახია): ვცდილობდით და ვცდილობთ არ შევარცხვინოთ ჩვენი წინაპარი (სწორედ ასე აღვიქვამთ, მივიჩნევთ „ის“ „საქართველოს“ და არა უბრალოდ თანამოსახელეს), გავაგრძელოთ მისი ტრადიციები, პრინციპები...

თუ რამდენად ვარომევთ ამ ამოცანას (რთულ ამოცანას!) თავს, ეს, რასაკვირველია, მკითხველმა უნდა გადაწყვიტოს; იმაში კი უნდა დაგვეთანხმოთ, რომ ჩვენი გაზეთი არ არის „ვიწრო ჯგუფობრივი“, პარტიული, მხოლოდ „ფრონტული“ ორგანო!

ასევე გავაგრძელებთ მომავალშიც...

* * *

თქმა არ უნდა, გაჩნდება კითხვა, თუ რატომ მაინცდამაინც დღეს „გაგახსენდა“ აღნიშნული „აღდგენის“ გამოცხადება.

ეს „აღდგენა“ საქართველოს „აღდგენამ“ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამ მსოფლიო ხალხთა ოჯახში სრულუფლებიან, სუფერენულ წევრად შესვლით რომ გამოიხატა... [illegible] ვახსენა“.

კუთვნილ უფლებებში აღდგენილ საქართველოში, აღდგენილი „საქართველო“ უნდა გამოდიოდეს!

ზემოთ ვთქვით, ისტორიას ხუმრობა უყვარსო. არა მარტო ხუმრობა.

როგორც ცნობილია, უშიშროების საბჭოზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შესვლისათვის საქართველოს რეკომენდაცია ინგლისმა გაუწია.

1920 წლის 12 იანვარს საქართველო მიღებული იქნა პარიზის კონგრესის უმაღლეს საბჭოში.

და მიღებულ იქნა... მაშინაც ინგლისის წინადადებით!

ამ მოვლენას 14 იანვრის ნომერში „საქართველო“ ასე გამოეხმაურა:

„ყველანი ველოდით, ხოლო არ ვიცოდით, ვერ ვგრძნობდით, რომ ასეთი მოულოდნელი სისწრაფით „თავს დაგვატყდებოდა“ ეს ბედნიერება.

რადიომ გვამცნო ეს ამბავი: სახელგანთქმული ლორდ კერზონი (ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი — რედ.) წინადადებით შევიდა პარიზის კონგრესის უმაღლეს საბჭოში საქართველოს სახელმწიფოებრიობის შეწყნარებისათვის და ეს წინადადება საბჭომ ერთხმად მიიღო...

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა განთავისუფლების აქტით ამცნო ქვეყანას თავის სახელმწიფოებრიობის ახალი ხანის დასაწყისი. დღეს განათლებულმა ქვეყანამ თანხმობა განაცხადა ამაზე.

სუვერენულ სახელმწიფოთა ოჯახში საქართველო შედის როგორც თანაბარი წევრი!«

„უმაღლესი საბჭო“ ეხლა არის თითქმის უზენაესი გამგე მთელი ქვეყნიერებისა. იქ შედიან წარმომადგენლები ინგლისისა, საფრანგეთის, იტალიის, ჩრდილო ამერიკის და იაპონიისა. ამნაირი საბჭოს დადგენილება უკვე გარდამწყვეტი მომენტია: ამიერიდან საქართველო **უკვე** ცნობილია **როგორც** დამოუკიდებელი სახელმწიფო“...

ეს სიტყვები, შეფასება შეგვიძლია ჩვენც გავიმეოროთ — გაეროში შესვლით, საქართველო ცნობილია, აღიარებულია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ!

მაშინ, 1921 წლის თებერვალში „უმაღლესმა საბჭომ“ ვერ (არ) დაიცვა საქართველოს დამოუკიდებლობა...

გაერო „სულ სხვაა“!

დღეს საფუძველი გვაქვს თამამად გავიმეოროთ „საქართველოს“ ზემოაღნიშნული ნომრის ეს სტრიქონები:

„... იწყება ახალი ხანა. საქართველო დგება თავის საერთაშორისო ცხოვრების ბუნებრივ პირობებში და უბრუნდება ისევ თავის ისტორიულ და ბუნებრივ შარა-გზას... საქართველო უბრუნდება თავის ძველ გზას, გადაჭრილს ამ ხუთი საუკუნის წინათ. ეს გზა მიმართულია ევროპის განათლებისა და კულტურისაკენ...

საქართველო შევიდა საერთაშორისო ოჯახში როგორც სრულუფლებიანი წევრი. აღსრულდა ნატვრა მრავალი მოდგმისა, რომელიც ვერ მოესწრო ამ ბედნიერ დღეს და სამარეში წაიღო თავის სევდა და გულის ტკივილი. აღსრულდა ნატვრა, იშლება საოცნებო პერსპექტივები მომავალი ლხენის, თავისუფალი შრომის და ეროვნული „განვითარებისა“.

„აღდგენილი“ „საქართველო“ კვლავაც ამ ეროვნული განვითარების ინტერესების სამსახურში იქნება!

გაზეთ „საქართველოს“
რედაქცია

პირისპირ

ნათელა ჭახნაკია

ღეღეს მეტისმეტად ძნელია რაიმე თქვა ისეთი, რაც შენს მოძმეს, შენს სისხლსა და ხორცს თვალზე ცრემლს მოწმენდს და გულში მომავლის იმედს ჩაუსახავს. იმიტომ კი არა, რომ ქართულმა სიტყვამ ღირსება და ძალა დაკარგა, ან კიდევ ჭეშმარიტი სიტყვის მთქმელები დაილივნენ და აღარ არსებობენ, არამედ იმიტომ, რომ ყველაფერი გაუფასურდა, რწმენა დაიკარგა, დავკნინდით, სულიერად გავღარიბდით, გული არ გულობს, ერთმანეთისთვის ხმა ვერ მიგვიწვდენია, პირისპირ თვალებში ვერ შეგვიხედავს... მოსისხლე მტრებად გადავქცეულვართ...

... და აი, ამ დროს ჩვეულებრივი ქალი, დედა, ბებია, საოცრად სუსტი და უჩინარი არსება ვბედავ ხმის ამოღებას, სიტყვის თქმას, იმ ლოდებად ქცეული ყინულის გალხობას, ჩვენი სული და ყოველდღიური ცხოვრება საზარელ ზამთრად ქცეულ ბოროტებას რომ ასე ერთბაშად და გულდაგულ აუვსია...

ეს ალბათ ბევრს სასაცილოდ და რაღაც უაზრობად მოეჩვენება და მეც ვიცი, რომ ეს ასეა, მაგრამ უკვე აღარ შეიძლება ყველამ თუ ჩვენი წილი ტვირთი არ ავზიდეთ, ჩვენი სათქმელი არ ვთქვით და ერთმანეთის გულებთან ახლოს არ მივედით, ერთმანეთს ძვლები არ გავუთბეთ და თვალებში პირდაპირ არ შევხედეთ!.. დროა კვლავ ადამიანებად ვიქცეთ!.. ისე არც ლოცვა-ვედრება გვიშველის და არც არავისი შემწეობა!

ორი-სამი თვეა, რაც საქართველოში ჩვენს საშველად ჩამობრძანდა ბატონი ედუარდ შევარდნაძე: სამი-ოთხი თვის წინ მის ლანძღვაში ყველა ერთმანეთს ვეჯიბრებოდით. დავუჯეროთ, ვენდოთ თუ არა მას? — მთელი საქართველო ამ არჩევანის წინაშეა... მეჩვენება, რომ ჩვენ და ბატონი ედუარდ შევარდნაძე პირისპირ ვდგევართ... ჩვენ თვალებდაბრმავებულნი — ის კი დიდი, ჭკვიანი და გონიერი თვალებით, ჩვენ სიძულვილით — ის კი მთელი სულით და გულით, სიყვარულით, ჩვენ ჯიუტი თხებივით ჯიქურები და უზნეონი — ის კი საოცრად დიდსულოვანი, მომთმენი და მიმტევებელი.

... მაგონდება 1978 წლის აპრილის ბობოქარი დღეები თბილისში... უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი თავგანწირულება... რუსთაველის პროსპექტზე მთავრობის სახლის წინ ზღვა ხალხთა მღელვარე სახეები... ყველაფრის თვითმხილველი და მონაწილეც გახლდით, თუმცა უნდა გულწრფელად მოგახსენოთ, მეტად პასიური, თითქმის სუბიექტური... პედაგოგიური ინსტიტუტის მაშინდელი პროფესორ-მასწავლებლებს ზევიდან დაგვავალეს, როგორმე შენვეჩერებინა და დაგვეოკებინა ახალგაზრდების ესოდენ დიდი გაბედულება და ცეცხლთან თამაში (ამის გამო, შემდეგ, პროფესორმა ვალერიან რამიშვილმა თქვა სინანულით ჩვენი პოზიციიდან, ხოლო სიამაყით სტუდენტების მიმართ: ახალგაზრდებმა გვაჯობეს თავდადებითო!)... მე ჩემი დიდი გასაჭირიც მქონდა, ჩემი ბიჭები და მისი უახლოესი მეგობრები (ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები) ამ საქმის მოთავენი იყვნენ... სწორედ იმ დღეს, 14 აპრილს, ინსტიტუტში დიდხანს ვერ გავძელი და ქუჩაში გამოვედი... შვილებს დავეძებდი გულგახეთქილი... უნივერსიტეტთან საოცარ სურათს წავაწყდი, ტელევიზორი გარეთ, ეზოში გამოეტანათ და ხალხს უჩვენებდნენ სესიის მსვლელობას, რომელიც იმ მომენტში მიმდინარეობდა... უცებ ატყდა მხიარული ყიჟინა, ტაში; ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი კვლავ აღადგინესო, რომ მითხრეს, მეტისმეტად გახარებულმა ყურებს არ დავუჯერე... მაშინ, ყველამ ვიცით, ასეთი რამის მიღწევა წარმოუდგენელი რამ იყო...

ჩემი ბიჭები იქ რომ ვერ ვიპოვე, მთავრობის სახლისკენ წავედი ფეხით, რადგან მოძრაობა შეჩერებული იყო... ყველა ამბობდა, მთელი თბილისი მთავრობის სახლის წინაა, სესიის მსვლელობას ელოდებიანო, ჯერ არაფერი არ იციანო, ძალიან დიდი მღელვარებაა და საშიშიაო. მეც ავჩქარდი, რათა ყველა მათგანისთვის მეხარებინა ეს ამბავი და მშვიდობიანად დაშლილიყვნენ.

მივედი მთავრობის სახლთან, ქუჩა ხალხით იყო გადაჭედილი. მომესმა დიქტორის ხმამაღალი, გამოკვეთილი ხმა: ერთი... ორი... სამი... ოთხი... ხუთი... და ასე ათამდე, თანაც დავინახე მთავრობის სახლის მოპირდაპირე მხარეს კედელთან ჩამწკრივებული რჩეული ვაჟკაცები მტკიცე სახეებით... დიქტორის ხმა შეწყდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ დაიწყო: ერთი... ორი... სამი... ერთბაშად შიშის ზარმა ამიტანა, რაც შემეძლო ხალხს შევყვირე: უკვე ყველაფერი კარგად გადაწყდა-მეთქი... შემდეგ რაღაც ინსტიქტმა მიბიძგა გავქცეულიყავი... წარმოვიდგინე, რადიოს საშუალებით ხალხს მისცეს წინადადება დაშლილიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ესროდნენ (გამახსენდა 1956 წლის მარტის თვის საშინელება), დიქტორის დათვლაც ამის ნიშნად მივიჩნიე (მხოლოდ გვიან მივხვდი, რომ მიკროფონს ამზადებდნენ ჩასართავად), რაღაც წამებში შინაგანმა ხმამ მოწყვეტით შემაჩერა... აქ ხომ ჩემი შვილებია, მათ დახოცავენ, მეც მათთან უნდა მოვკვდე, მაგრამ აღარ დამცალდა განწირული ყვირილით მეხმო. მათთვის, უცებ ხალხი ერთბაშად მიტრიალდა მთავრობის სახლისკენ, გაისმა დინჯი, თანაბარზომიერი, რაღაცნაირი გრძნობით დამუხტული ხმა: შვილებო, ძმებო, დებო!.. და შემდეგ ზუსტად არ მახსოვს, მეტისმეტმა მღელვარებამ გონიერებაც კი წამართვა. ბატონი ედუარდი, მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მიმართავდა ქართველ ხალხს და ამცნობდა, რომ ცენტრთან შეთანხმებით ყველაფერი გადაწყდა ისე, როგორც მათ სურდათ და რასაც ახალგაზრდობა მოითხოვდა. სიტყვა დაასრულა მოწოდებით: გაუმარჯოს ქართველ ახალგაზრდობას!.. გაუმარჯოს საქართველოს!.. და ბოლოს მის მოთხოვნაზე მშვიდობიანად და წყნარად დაშლილიყვნენ, ხალხმაც ნელ-ნელა მხიარული შეძახილებით დატოვეს იქაურობა. მეტისმეტად აღფრთოვანებულები ერთმანეთს ვკოცნიდით და ვულოცავდით.

არასოდეს დამავიწყდება მაშინდელი ედუარდ შევარდნაძე... მთავრობის სასახლის წინ, თაღოვან სვეტებს შორის იდგა იგი მარტოდმარტო, ყოველგვარი დაცვისა და თანამოაზრეების გარეშე (შეიძლება სხვებმა ვერც გაბედეს მასთან ერთად იქ დგომა გაავებული ხალხის წინაშე).

მაშინ, დიდი განსაცდელის ჟამს, ბატონი ედუარდი პირველად დადგა თავისი ხალხის პირისპირ (იმათ წინაშე, ვინც ახლახან დიდ უბედურებას გადაარჩინა) და მოძღვრავდა მათ სამშვიდობოდ, სამომავლო კეთილდღეობისათვის, ვითარცა მწყემსი კეთილი და წინამძღოლი...

მეორედ, ედუარდ შევარდნაძე ქართველი ხალხის პირისპირ აღმოჩნდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ დღეებში. ეს მართლაც დიდი ისტორიული თარიღებია, ამიტომ მოგონებებიც ჩემი მეტად ღრმა და შთამბეჭდავია, მომიტევეთ თუ სიტყვა ცოტათი გამიგრძელდეს...

იმ საბედისწერო 9 აპრილის შემდეგ რამდენიმე დღით წავედი დასავლეთში, სოფელ ლიხაურში. მეორე დღესვე მივედი სამძიმარზე 9 აპრილის დაღუპული ნინო თოიძის ოჯახში. სანამ სინამდვილეს გავიგებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ნინო, ეს სოფლელი გოგონა, შემთხვევით დაიღუპა... აღმოჩნდა, რომ ნამდვილი გმირი ყოფილა. ნინო თოიძეს და მარტვილელ აზა ადამიას ერთად მიუღიათ ფიცი და მოშიმშილეთა შორის მჯდარან. ორივე მეგობარს ვაჟკაცური წინააღმდეგობა გაუწევია ჯალათებისთვის, დიდხანს თავგანწირულად ებრძოდნენ მკვლელებს ერთმანეთის სიცოცხლის გადასარჩენად. ვაი, რომ ამაოდ... და მოწამებრივად დაიღუპნენ. დამგლოვიარდნენ ოჯახები, შემზარავი იყო დედათა გულის ჭიდილი უმაღლეს მწუხარებასთან. მოხდა საოცრება... დედებმა შეძლეს ლამაზად ეგლოვათ შვილები... უმძიმეს წუთებში, როცა არავის და არაფერს შეეძლო მათი ტკივილის შემსუბუქება, ერთნაირი მწუხარებით გულშეძრულმა დედებმა გადაწყვიტეს, ერთად დაეტირებინათ თავიანთი შვილები.

მართლაც დაინიშნა დაკრძალვის დღეები და ნინო თოიძის დასაფლავებაზე ჩამოვიდა მთელი სამეგრელო, ხოლო აზა ადამიას დაკრძალვაზე გურიიდან წასულ სამგლოვიარო პროცესიას, ზღვა თაიგულებითა და ეროვნული დროშებით, დასასრული არ ჰქონია... დიდი მწუხარება საერთო-სახალხო გლოვად გადაიქცა. დედათა მოთქმა და ზარი დიდ ტკივილთან, დიდ უბედურებასთან შეერთებულად შეჭიდებას წარმოადგენდა ერთი საერთო გულით, ერთი საერთო ცრემლით და ერთი საერთო ნუგეშით.

ჭირის ჭირში გადატანა, საკუთარი მწუხარების სასწორზე სხვისი ტკივილის გათანაბრება მორალურ-ზნეობრივი კეთილშობილების უმაღლესი გამოხატულებაა, რაც ასე ნიშანდობლივი და დამახასიათებელია მხოლოდ ქართველი დედისათვის.

ჩვენს ჯიშსა და მოდგმას ეს შინაგანი ელიტური სულგრძელობა დასაბამიდან მოსდგამს. „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ უბრალო ბალადა როდია. იგი ჩვენი ცხოვრებაა, ჩვენი სულის სარკეა, ძველთაძველი, თვალშეუდგამი მითოსური სამყაროდან რომ მოდის, თაობიდან თაობაში გადადის და მკვიდრდება. ქართველი ქალი, ქართველი დედა სამყაროს აღმოჩენაა, დიდბუნებოვნებისა და ზნესრულობის ცოცხალი ხატია, რომელზედაც ბევრჯერ დაიწერა, ბევრი რამ ითქვა, მაგრამ მისი სულის ზეგრძნობადობა, ტკივილისა და მწუხარების ამოუცნობ

და აი, ამ ტკივილიანი მაგრამ დიადი გრძნობებიდან [illegible] ვსე ქართველ ხალხს ზემოდან, ცენტრიდან მოგვევლინა ედუარდ შევარდნაძე, ვითარცა უცხოელი დამპყრობელი და არა სისხლხორცეული თვისტომი ჩვენი (ასე ფიქრობდით მაშინ), მაგრამ ქართველი ხალხი გულს მაინც მას ატანდა, მას ერჩოდა და მთელი რისხვაც ბატონ ედუარდს დაატყდა თავს. ყველას გვახსოვს შეხვედრები კინოს სახლში, ინტელიგენციასთან და ა.შ.

ბატონმა ედუარდმა გაუძლო ყველა შემოტევას და როგორც შეეძლო და რაც შეეძლო, ისე დაამყარა „მშვიდობა“ საქართველოში. მახსოვს მაშინდელი მითქმა-მოთქმა, მოუპირავი ჭორები, თითქმის ყველას უსაშველო სიძულვილი ბატონი ედუარდის მიმართ. თურმე როგორ ვხდებოდით მაშინ... პოლიტიკურად რა უმწიფარები ვიყავით და ჩვენს უგუნურებას საზღვარი არ ჰქონდა!.. შესაფერისადაც დავისაჯეთ... რაც დავთესეთ, ის მოვიმკეთ!..

და აი, ახლა, ყველაზე უმძიმეს ჟამს, მიუხედავად ყველაფრისა, ბატონი ედუარდი კვლავ ჩვენთანაა, ჩვენს პირისპირ, თავისი დიდი მსოფლიო გამოცდილებით, მისეული კეთილგონიერებით, სიბრძნით, ქართული სიდარბაისლით და მე მეჩვენება, რომ იგი სრულიად მარტოდმარტო დგას ჩვენს პირისპირ, რაღაც ამოუცნობი სევდითა და ტკივილებით დამძიმებული, საარაკო პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ქვეყნის, ხალხისა და ღმერთის წინაშე. ჩვენ კი არ ძალგვიძს ავიდეთ მის სიმაღლეზე, გვერდით დავუდგეთ, მის ნათელ კვალს მივყვეთ, რამეთუ საერთო ენა და საერთო აზრი ვერ გვიპოვია... მისთვის კი არ არსებობს დაშლილ-დანაწევრებული საქართველო, იგი თვითეულ ქართველს მისტირის, უხმობს, ევედრება მისი ნაჩვენები გზით, სიკეთისა და სიმართლის გზით იაროს, უფსკრულში არ გადაიჩეხოს, შეძრწუნებულია ჩვენი უმეცრებით, სულმდაბლობით, ყველასა და ყველაფრისადმი გაუცხოებით. ბატონი ედუარდის ასეთი ამაღლება უკვე ქრისტეს წმინდა მცნებების აღსრულებაა. გავუფრთხილდეთ უფლისმიერ შემოთავაზებულ ამ დიდ თანადგომასა და

სინათლისაკენ წარმმართველ ძალას!..

არ მასვენებს ფიქრი იმაზე, თუ რას განიცდიან ახლა ნინო თოიძის, აზა ადამიას და სხვა დანარჩენ მოწამეთა დედები, ხომ არ შემოვაძარცვეთ მათ სამგლოვიარო ძაძები და ხომ არ დავავიწყებინეთ მათ წმინდა საფლავები... ან რა მოხდებოდა ნეტავ გურული ნინო თოიძე და მეგრელი აზა ადამია რომ ცოცხლები იყვნენ?.. მოძულე მტრებივით ხომ არ დახოცავდნენ ერთმანეთს?!

უაღრესად კრიტიკული წუთები გვაქვს, მაგრამ რა დიდი იმედია, რომ ბატონმა ედუარდმა მძიმე ჯვარი იტვირთა და დღეს ჩვენი წინამძღვარია, იგი მოსფლიოში პატივდებული ბრძენკაცია, მივყვეთ მას!..

უწინამძღვროდ დარჩენა ქვეყნის გაპარტახებას მოასწავებს, ეს ხომ სრული ქაოსის, მოქცევის, მეორედ მოსვლის დასაწყისი იქნება?!. მოვიგონოთ ძველთაძველი შუმერული შეგონება:

რა არის ხალხი თვინიერ მეფისა?
ოდენ ცხვრის ფარა უმწყემსოდ შთენილი.
ხალხი თვინიერ წინამძღოლისა?
წყალი უმერწყულოდ შთენილი.
მუშაკნი თვინიერ მოძღვრისა?
ყანა უგუთნისდედოდ შთენილი.
სახლი თვინიერ პატრონისა?
დედაკაცი უქმროდ შთენილი.

ჩემი ძვირფასებო, ალბათ ვერ ვგრძნობთ, თუ რა დიდ საუნჯის მფლობელები ვართ?.. ნუ დავკარგავთ მას, ნუ გავიწირებით ცუდუბრალოდ, ჩვენი შვილები, მოდგმა ჩვენი რაც გადაგვრჩა, ის მაინც გადავურჩინოთ ქვეყანას!..

ნოდარ ნათაძე:

პარლამენტი ცოცხალია

კითხვა — მინდა მოგმართოთ რამდენიმე კითხვით დღევანდელი ვითარების შესახებ.

ნ.ნ. — სანამ კონკრეტულ კითხვებს მომცემდეთ, მე თვითონ მოგახსენებთ ჩემს აზრს ზოგადად. უფრო ზუსტად, მოგახსენებთ ჩემს შეხედულებას მდგომარეობის მხოლოდ ყველაზე ძირითად პარამეტრებზე.

თქვენ გახსოვთ, რა მოხდა დეკემბერ-იანვარში. ხალხის და პოლიტიკოსების ერთი ნაწილი ზ. გამსახურდიას იცავდა, ნაწილი — განზე ვიდექით, რადგან ნებისმიერ მხარეზე ჩარევა ძმათა სისხლისღვრას ნიშნავდა. ნაწილი იმათ იცავდა, ვინც მთავრობის სახლს უტევდა. რა სულისკვეთებით იყვნენ ეს უკანასკნელნი? მათი აზრი, მე მგონი, ასეთი იყო: წავა ზ. გამსახურდია, რომელმაც ქვეყანა ჩიხში შეიყვანა, და ბოლოს მოვა ე. შევარდნაძე, რომელსაც მართვის უნარი ნამდვილად აქვს. ამგვარად, სამხედრო საბჭოსა და დროებითი მთავრობის მმართველობას, მე მგონი, მათი დამცველნი იხილავდნენ **მხოლოდ როგორც გარდამავალ საფეხურს** ე. შევარდნაძის მმართველობისაკენ. ისინი არ ფიქრობდნენ, რომ სამხედრო საბჭო ან დროებითი მთავრობა ის ხელისუფლებაა, რომელსაც საქართველოში დიდხანს ყოფნა მოუწევს ან ეკუთვნის. გამონაკლისი თუ იყო, იგი, ალბათ, უმნიშვნელო იყო. რა მოხდა შემდეგ? მოხდა ის, რომ ე. შევარდნაძე მართლაც ხელისუფლების სათავეშია, საგარეო პოლიტიკაში საქართველოს დიდი წარმატება აქვს, საშინაოში, პირიქით. მდგომარეობა კიდევ უფრო ტრაგიკული გახდა: ძმათა შორის სისხლისღვრამ მოიცვა არა მარტო ქუჩაში საკუთარი ნებით გამოსული ადამიანები, არამედ საქართველოს მთელი ერთი კუთხის მოსახლეობა. ამ ტრაგიკულ და სამარცხვინო ფონზე ბუნებრივად იბადება (და, როგორც ტელეეკრანიდან მოვისმინეთ, დაიბადა კიდეც უკვე) კითხვა: ერთიც ვნახოთ, და მსოფლიო პოლიტიკის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეს, როგორიც ბატონი ე. შევარდნაძეა, ეთაკილოს დემოკრატიის არამცოდნე და სამართლის არმნდომ საზოგადოებაში ყოფნა, გაუფრთხილდეს თავის პრესტიჟს მსოფლიოს თვალში და ჩვენი ბედკრული ქვეყნის პოლიტიკის ასპარეზს გაეცალოს? რა იქნება მაშინ? იმ ლეგიტიმური, მაგრამ უუნარო ხელისუფლების შემდეგ, რომელიც გვყავდა, და იმ არალეგიტიმური, მაგრამ უნარიანი ხელისუფლების შემდეგ, რომელიც ამჟამად გვყავს, ჩვენ გვეყოლება არალეგიტიმური და ამავე დროს უუნარო ხელისუფლება, რომელსაც არც საგარეო პოლიტიკაში, არც საშინაოში წარმატების მოპოვების არანაირი შანსი აღარ ექნება. მე მიმაჩნია, რომ ეს **არ უნდა მოხდეს** (და ვიმედოვნებ, რომ არც მოხდება), მაგრამ ვთვლი, რომ მზად უნდა ვიყოთ **იმ** შემთხვევისთვისაც, თუ ეს მოხდა. ვინ იქნება მაშინ საქართველოსა და მისი სახელმწიფოებრივი ინტერესის განმასახიერებელი შინ და გარეთ? ვის გარშემო დაკრისტალდება ერის ჯანსაღი ძალა, ვისთვისაც მიუღებელია ავტომატებზე დამყარებული ავტორიტარიზმი, ბანდოკრატია, მიტინგზე კაცისა და ქალის კვლა, ტერორი და უკანონობის სრულებით ანაქრონისტული თარეში? საქართველოში დღეს არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ლეგიტიმური ორგანო — საქართველოს პარლამენტი — და ჩვენ ვალდებულნი ვართ, თუ საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნის ხსნისათვის, მისი შესაძლებლობები გამოვიყენოთ. ვიმეორებ: **თუ საჭირო იქნება.** მიაქციეთ ყურადღება: პარლამენტი არავის დაუთხოვია და არც აქვს ვისმე მისი დათხოვნის უფლება. მას **ვერც დაითხოვს ვინმე,** თუ თვითონ პარლამენტარებს პიროვნულმა სიმდარემ და სულმდაბლობამ არ დაახევინა ავტომატების წინაშე (რისი უფლებაც ხალხის არჩეულს, რაღა თქმა უნდა, არა აქვს). ამიტომ მე მიმაჩნია, რომ პარლამენტი უნდა გაცოცხლდეს (იმ ორი თვით მაინც, რაც არჩევნებამდე დარჩა) და სამოქმედოდ მზად უნდა იყოს. პარლამენტის ერთ-ერთი დანიშნულება, როგორც მოგეხსენებათ, ისაა, რომ მოიგერიოს სხვადასხვა სახის იურიდიული აგრესიები ჩვენს წინააღმდეგ, მარის გარეშეც სახელმწიფოებრიობა ყალბი სახელმწიფოებრიობაა.

გ) სამხედრო წარმოების ორგანიზაცია (რისი საშუალებაც ჩვენს ქვეყანას ნამდვილად მოეპოვება).

დ) დაბოლოს, დემოკრატიის კურსზე დადგომა, ანუ ჩვენი ქვეყნის გამოყვანა იმ დამამცირებელი მდგომარეობიდან, როცა ვიღაცას შეუძლია, მოქალაქეს დაემუქროს და იგი თავისივე აზრისა და სვინდისის წინააღმდეგ წაიყვანოს.

ეს სულ ისეთი პუნქტები გახლავთ, რომელსაც საქართველო ვერ დათმობს უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — რომელშიც საქართველო ვერავის ვერ დაუთმობს. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ პარლამენტი ან მისი ძირითადი, ჯანსაღი ნაწილი მაინც უნდა შეიკრიბოს, როგორც რამდენჯერმე უკვე სცადა შეკრება იანვარში, მაშინ პარლამენტართა ერთი ნაწილის, სახელდობრ, ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის", „ქარტიისა" და სხვათა ე.წ. „ოპოზიციური" დეპუტატების ინიციატივით რამდენჯერმე მოვიყარეთ გალითად, ისეთი, როგორიც ვ. არძინბას ჯგუფმა მოახდინა აფხაზეთის უზენაეს საბჭოში ამ რამდენიმე დღის წინ. მას მრავალი სხვა დანიშნულებაც აქვს. ამიტომაც მიმაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო მზად უნდა იყოს, რათა განაახლოს თავისი ფუნქციობა ამა თუ იმ ფორმით. რა თქმა უნდა, მან არ უნდა შექმნას საქართველოში **ორხელისუფლებიანობა,** რაც ნებისმიერ ქვეყნისათვის დამღუპველია: მან საჭეზე ხელი არ უნდა უტაცოს იმას, ვისაც დღეს ეს საჭე უჭირავს, რადგან ამან შეიძლება მანქანის გადაჩეხვა გამოიწვიოს. მაგრამ იგი მზად უნდა იყოს იმ შემთხვევისათვის, თუ საჭეს მართვის არამცოდნე და უპასუხისმგებლო ხელი წაეტანა. რა თქმა უნდა, იგი მზად უნდა იყოს კონფლიქტისთვისაც კი იმ შემთხვევაში, თუ მართვის მცოდნე ხელმა მანქანა ხრამისაკენ წაიყვანა. კონკრეტულად გეტყვით: პარლამენტი უნდა ამტკიცებდეს — ან იწონებდეს მაინც — ფაქტობრივი ხელისუფლების აქტთა ერთ ნაწილს (მაგალითად, არჩევნების დანიშვნას 11 ოქტომბრისათვის) და არ უნდა იწონებდეს (ან, ვთქვათ, დუმილით გვერდს უნდა უვლიდეს) ამ აქტთა სხვა ნაწილს. რომელია ის საკითხები, სადაც პარლამენტი შეიძლება ფაქტობრივად ასებულ ხელისუფლებასთან კონფლიქტზედაც კი წავიდეს? ესენია:

ა) რუსეთთან და მის არმიასთან ურთიერთობის ოპტიმალური ხაზის განსაზღვრა. რუსეთისადმი დაქვემდებარება ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით, ან მისი ჩარევა ჩვენს შინაურ საქმეებში რაგინდარა ფორმით, დაუშვებელია.

ბ) არმიის რეალური შექმნა, თავი კინოს სახლის დარბაზში და მხოლოდ ა. ასათიანის მიერ თავისი პარლამენტური მოვალეობისათვის თავის არიდებამ (არ მინდა ვთქვა — დეზერტირობამ) შეუშალა ხელი იმას, რომ ქვორუმი შემდგარიყო. ამ შეკრების განმეორება ახლაც შესაძლებელია (ყოველ შემთხვევაში, „ოპოზიციონერი" და სხვა დემოკრატ დეპუტატთა შემადგენლობით მაინც).

კითხვა — ამ რამდენიმე თვის მანძილზე პარლამენტის ხსენება აღარ ყოფილა. მოხდა ახლა ისეთი რამ, რამაც უცებ თქვენი შეშფოთება გამოიწვია?

ნ.ნ. — დიახ, მოხდა. უფრო ზუსტად — ხდება. მე მეშინია არჩევნების ჩაშლისა დღეს მაღლა მყოფი გარკვეული ძალების მხრიდან. ჯერ ერთი, ძალადობაა თვით საარჩევნო კანონის შეცვლის ფაქტი, როცა არჩევნებამდე ორი თვეღა რჩება. მეორეც, ძალიან ცუდია ამ ცვლილებების მიმართულება, სახელდობრ, მაჟორიტარულის ნაცვლად პროპორციული სისტემის კვლავ წამოწევა, როცა ერთ პრესტიჟიან ლიდერს შეუძლია, რომ, კუდივით, უღიმღამო მომხრეთა დიდი მასა გაიყოლიოს უკან და პარლამენტში საკუთარი „აგრესიულ-მორჩილი უმრავლესობა" შეიქმნას. ამის მოწმენი უკვე გავხდით ერთხელ და ვშიშობ, მეორედაც არ გავხდეთ, ოღონდ ამჯერად საპირისპირო მიმართულებით. გარდა ამისა, უკვე შეიმჩნევა წინააარჩევნო ტერორის მცდელობის ნიშნები. ერთ რაიონში საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ პიროვნებას უთხრეს, გადადექი, თორემ ავტომატით ფეხებს დაგიმტვრევთო (და ეს უთხრა იმ ხალხმა, ვინც რამდენიმე დღის წინ მარმედ ის პოზიცია, რომლითაც ეს შემადგენლობა ამომრჩევლის წინაშე წარდგა არჩევნების დროს. ეს სუსტი პარლამენტი, თავისი განაცხადით, მაინც ეროვნული პარლამენტია, მიუხედავად იმისა, რომ ვიღაცას, მგონი, მასში სუკის 37 აგენტიც კი დაუთვლია. ამიტომ იგი, ალბათ, გაბედავს საქართველოსათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმას, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

კითხვა — თქვენ ლაპარაკობთ პარლამენტზე, მაგრამ არაფერს ბრძანებთ ზ. გამსახურდიაზე, რომელიც ამ პარლამენტის ლიდერიც იყო და მასში იმ თქვენს მიერ ხსენებული „მორჩილი უმრავლესობის" ბატონ-პატრონიც. რა აზრისა ხართ მის პიროვნებაზე?

ნ.ნ. — მაპატიეთ, ეს არც საინტერვიუო კითხვად მესახება და არც საანკეტო კითხვად. მოგახსენებთ ჩემს აზრს მის როლზე დღეს და ამ უკანასკნელ თვეებში. იმ უძლურმა დიქტატურამ, რომლისკენაც მას საქმე მიჰყავდა, ხალხის შეგნებული ნაწილი შეაშინა არა მხოლოდ თავისი უგნურებითა და უპერსპექტივობით ქვეყნის რეალურ ინტერესებთან მიმართებაში, არამედ თავისი ისტერიული ფომრითაც. ე.წ. „კარვის ქალები", მაგალითად, ისეთი მოვლენაა, რომელიც ყველა დიქტატურაში არ მეორდება, ისევე, როგორც ყველა დიქტატურას არ ახასიათებს კერძო პიროვნებების წინააღმდეგ (და, უნდა ითქვას — პოლიტიკურად **უმნიშვნელო** და უღიმღამო პიროვნებების წინააღმდეგ) მასის წაქეზების გამსახურდიასეული პრაქტიკა. როდესაც ახალმა ხელისუფლებამ მიტინგებზე ცეცხლის გახსნა დაიწყო ერთი მუჭა გაუწვრთნელი მეავტომატეების თლაც დაუმტვრია ავტომატის ჯერით ფეხები სხვას, ოღონდ არასაარჩევნო მოტივით).

კითხვა — პარლამენტის სესიებზე თქვენ ვერ გატუობდით დიდ ნდობას პარლამენტის სიბრძნისადმი. როგორ შევათავსოთ ეს თქვენს დღევანდელ გეგმასთან?

ნ.ნ. — არ ვმალავ: პარლამენტის პირადი შემადგენლობის უმრავლესობაზე ძალიან დაბალი აზრისა ვარ (სხვათა შორის, პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში სუსტი პარლამენტის არსებობა, კანონზომიერი ყოფილა). ეჭვი მაქვს (თუ გნებავთ, პირდაპირ გეტყვით: ეჭვი არც მეპარება), რომ ამ შემადგენლობის გასვლას პარლამენტში ყველა ზომით ხელი შეუწყო იმდროინდელმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ. მაგრამ ამ უსუსტესმა პარლამენტმა შეასრულა სამი ისტორიული საქმე: გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ჩაატარა რეფერენდუმი და გააუქმა დამპყრობლის მიერ ჩვენთვის თავს მოხვეული უკანონო ავტონომია. ამგვარად, აქ გადამწყვეტი ყოფილა არა პარლამენტის პირადი შემადგენლობის ხარისხი, არა-ხელით და ხალხმაც [illegible] ამ ადამიანთა დიდი [illegible] ურობის მიზეზი ისევ და ისევ ზ. გამსახურდიას ისტერიული მმართველობის განახლების შიში იყო (ეს ჩემი სუბიექტური აზრი გახლავთ, მეტი არაფერი), ამგვარად ზ. გამსახურდიას ხელისუფლებამ არაპირდაპირი გზით, ხელი შეუწყო, თავისდაუნებურად, თავის მოწინააღმდეგე ხელისუფლებას, ისევე როგორც კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავის დროზე ხელი შეუწყო ზ. გამსახურდიას მოსვლას ხელისუფლებაში. რა თქმა უნდა, მე არ გამოვრიცხავ სხვა ფაქტორსაც. გახსოვთ, ალბათ, 4 ოქტომბრის ღამესრომ გამსახურდიას ადმინისტრაციამ რუსთაველის გამზირი ცეცხლით გაწმინდა? მაშინ ხალხი **გატყდა,** 5 ოქტომბერს ქუჩაში არავინ აღარ გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ 4 ოქტომბრის ღამეს რუსთაველზე შეკრებილი მასის ემოციური მუხტი ძალიან დიდი იყო. კიდევ კარგი, არ გამოვიდა, და ზედმეტი სისხლი არ დაიღვარა: შინაურების წინააღმდეგ მანიფესტაციები, ისევე როგორც შინაურებისათვის ცეცხლის გახსნა, ღმერთმა გვაცილოს! მაგრამ მე ამ შემთხვევაში სხვაზე მოგახსენებთ, ცხადია, ვიღაცა ფხიზლად ადევნებდა თვალს, თუ როგორია თბილისელი მასის მოთმინების ზომა, და, შესაძლოა, თავისი დაკვირვება მან შემდგომი მიტინგებისა და მანიფესტაციების დამრბევებს მიახმარა...

რაც შეეხება ზ. გამსახურდიას როლს დღეს, დღევანდელ ვითარებაში, მე არ ვიცი, როგორ მოქმედებს ზ. გამსახურდია, მაგრამ ვიცი, როგორც მოქმედებენ სხვანი მისი სახელისა და მისი ბედის გამოყენებით, რათა დასავლეთ საქართველო ძმათა სისხლისღვრის ალში გახვიონ. ამიტომაც გამოვაქვეყნე გაზეთ „საქართველოში" ამ სამიოდე თვის წინ ღია წერილი მისი მისამართით, სადაც მოვუწოდებდი, საჯაროდ გამოსულიყო დესტაბილიზაციის წინააღმდეგ, რადგან მისი მოწოდება „დაუმორჩილებლობისაკენ" საშუალებას აძლევს ყველას, ვისაც კი ჰსურს, საქართველოს დესტაბილიზაციისათვის იღვაწონ და ყველა დივერსია თუ სხვა ტერორისტული ფაქტი ქართველებსვე მიაწერონ (რეალური ძალა იმ სხვებს, ცხადია, გამსახურდიაზე მეტი აქვთ). ჩემი მოწოდება, უდაბნოში მღაღადებლის ხმად დარჩა, მე ეჭვი არ მეპარება, რომ ზ. გამსახურდია თავისი ამ მადესტაბილიზირებელი როლის გამო დღეს ყველაზე უფრო გასაფრთხილებელი პიროვნებაა იმპერიული ძალებისათვის.

კითხვა — თქვენი ნებართვით, ისევ პარლამენტს და ისევ მომავალ არჩევნებს დავუბრუნდებით. რა უნდა იყოს, უფრო კონკრეტულად, პარლამენტის მუშაობის თემა დღეს?

ნ.ნ. — უკვე მოგახსენეთ: პირველ ყოვლისა, იურიდიული აგრესიების მოგერიება. არძინბას ჯგუფის მიერ დანარჩენი საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტის მცდელობა ემყარება 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენას და, მაშასადამე, არსებული კონსტიტუციის გაუქმებას საქართველოს ხელისუფლების მიერ, სახელდობრ, სამხედრო საბჭოს მიერ, რომელიც

(გაგრძელება მე-8 გვ.)

ფიქრები სახელმწიფო საბჭოს შესახებ

რემაზ ბარამიძე

სახელმწიფო საბჭოს ჩამოყალიბება და იქ ღირსეულ პიროვნებათა მოწვევა დიდად სახარბიელო და პროგრესული მოვლენა იყო, რამაც საყოველთაო სიხარული და იმედი გამოიწვია, მაგრამ გვიმართლდება კი ეს იმედი? მე შორს ვარ იმ აზრისაგან და იმათთაგან, რომელნიც ჩვენან და ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავეთანხმები იმ სკეპტიკოსებს, თითქოს სახელმწიფო საბჭო ფუჭსიტყვაობის ასპარეზი იყოს, თითქოს ტელევარსკვლავობის ფინისა და ზერელე თვითგამოჩენისა თუ კოკეტკობის დამაკმაყოფილებელი იყოს, თითქოს ეს ზოგადეროვნული მსჯელობის მიღმა საკუთარი კეთილმდგომარეობის მომწესრიგებელი საშუალება იყოს. არა, არავითარ შემთხვევაში ამას არ ვიზიარებ, მაგრამ ერთი კი აშკარად თვალშისაცემია, რომ სახელმწიფო საბჭოს ქმედების კოეფიციენტი დაბალია, და რაც მთავარია, სიტყვა და საქმე გულსაკლავად დაშორიშორებულია. ვამბობთ სახელმწიფო საბჭო და ვაიგივებთ, ერთარსებად წარმოვიდგენთ იქ მყოფთ, რაც დიდი შეცდომაა, რადგან იქ სხვადასხვა პროფესიული დონისა და მოქალაქეობრივი პრინციპის ადამიანებია და მათი ერთსახოვნად წარმოდგენა შეუძლებელია, მე არაფერს ვამბობ ბატონ ედუარდ შევარდნაძის შესახებ, რომელიც სულ სხვა მასშტაბისა და გაქანების პიროვნებაა და მას სათანადოდ ვერ უმტკიცებენ პოზიციას იქ მყოფნი, არც ისეთ მაღალ პროფესიონალურ პირადვნებებზე, როგორიც ბატონები ალექსანდრე ჩიკვაიძე, თამაზ გამყრელიძე, ნოდარ ლომოური, ვახტანგ გოგუაძე და სამედნიერად კიდევ სხვანი. წინა თუ ახალი თაობიდან, მაგრამ საერთოდ სახელმწიფო საბჭოს მოღვაწეობის მარგი კოეფიციენტი მეტად დაბალია.

ჯერ ერთი ყველას უნდა გაუჯდეს ცნობიერებაში, რომ სახელმწიფო მდგომარეობა არაა მატერიალური კეთილმდგომარეობის მისაღწევი საშუალება; ჩვენში ეროვნული მოძრაობა არასოდეს ყოფილა მატერიალური მდგომარეობის გამაუმჯობესებელი საშუალება. ამიტომაც იყო, რომ ეროვნული მოძრაობის თავკაცები სოლომონ დოდაშვილიდან მოყოლებული, არჩილ ჯორჯაძეთი და ექვთიმე თაყაიშვილით დამთავრებული, საშინელ ეკონომიკურ სიღუხჭირეს განიცდიდნენ, ხოლო ახლა კი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა გახდა კეთილმდგომარეობის მომგვარებელი საშუალება და ბოლშევიკების მსგავსად მათშიც გამოიკვეთა კასტური უპირატესობის ტენდენციები. არაერთი ეროვნული მოძრაობის „ლიდერი“ დღეს უფრო ხელმომთბარად ცხოვრობს, ვიდრე იგი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდოდა. ეს ზოგადი ფრაზაა და კონკრეტული უამრავი მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ ორიოდეს მაინც შევნიშნავ. ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ დაგვეჩაგრა მატერიალურად ჩვენი ხალხი, რუსთაველის გამზირის მიმდებარე ტერიტორიიდან რაჟის მეწყერით დაზარალებულთა ჩათვლით უსახლკაროდ დაგვრჩა ასობით ოჯახი, ასევე უსახლკაროდ არიან ლტოლვილები: საშენ მასალათა დეფიციტის გამო ვერ ხერხდება მათთვის სათანადო ტემპითა და მასშტაბით ბინების შენება, ამ დროს ჩვენი მოსახლეობის რომელიღაც კატეგორია, რომელსაც არც სახლი დანგრევია, არც სამაჩაბლოს გაკარებია, საოცარი ტემპითა და მასშტაბებით იშენებენ სასახლეებს, და რაც მთავარია, ამ მატერიალური აღზევების ფსიქოზში ჩართული არიან სახელმწიფო თანამდებობის პირები, „სახელმწიფო მოღვაწეებს“ გული არ სტკივათ მათი თანამოძმის სიდუხჭირის გამო, იხელთეს დრო და ამერიკელ მილიარდელებს ეჭიშპებიან ვილების მშენებლობაში, მათ არც ცემენტი აკლიათ და არც იმპორტული საშენი მასალა თუ ავეჯი. ეს აღაშფოთებს მთელ მოსახლეობას, მაგრამ... მაგრამ ამას ვერ ხედავს ვერც ჩვენი მთავრობა, ვერც მართლმსაჯულების ორგანოები და ვერც სახელმწიფო საბჭოს წევრები. არც ისაა მთავრობის ფიქრის საგანი, რომ ჩვენი დოვლათი უმოწყალოდ გადის ქვეყნის გარეთ, განსაკუთრებით თურქეთში და არ იქნა ამ გზების გადაკეტვა. ესაა რომ ხალხის თვალის ასახვევად ხანდახან სიმბოლურად ტელევიზორში გამოაჭენებენ ვინმე უპატრონო ბაცანას, რომელსაც თურქეთში გაჭონდა მასალა, ხოლო ათ იმდენს რომ გააქვს, ამას ვერავინ ამჩნევს. არადა თბილისში ჩაქუჩსა და ლურსმანს ვერ იშოვი, ყველაფერი გაზიდეს და გაზიდეს არა რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, არამედ მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასასქელებლად, ხოლო ქართველი კაცი საოცარ სიდუხჭირეშია. ამას განიცდის მთელი მოსახლეობა და ამას ვერ ხედავენ ვერც სამართალდამცავი ორგანოები, ვერ პრესა და ვერც ტელევიზია. ის ორიოდე სიმბოლური, პალატიური ღონისძიება საქმეს ვერ შველის. თითქოს სარფის გზა ნაკლებად გააღატაკებდა, ახლა მეორე — ახალციხის გზის გახსნასაც აპირებენ, რაც საბოლოოდ დაგვანგრევს.

თურქეთთან დამოკიდებულების საკითხშიც მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს. სარფის გზით თურქეთში მყოფ ქართველებთან ასეთი ხმაურიანი დაკავშირება, საქართველოს დროშების ფრიალი თურქეთის ტერიტორიაზე არსებულ სახლებზე სიბეცე და არასერიოზულია. ეს დიდ უკურეაქციას გამოიწვევს თურქთაგან და შედეგიც სათანადო გვექნება. მთელი აღმოსავლეთი პრუსია რუსების ხელშია, კანტის ქალაქი კალინინგრადად იწოდება და არცერთ გერმანელს ფიქრად არ მოსდის იქ გერმანიის დროშები უფრიალოს რუსს ცხვირწინ. ჩვენი ცერცეტობა ჩვენი კატასტროფის საბაბი გახდება.

შემაზრზენია, რომ ჩვენში ურთიერთთანადგომა, სხვისი ტკივილის განცდა იმდენად ატროფირებულია, რომ საკუთარი ჯიბის გასქელების მიზნით, ვერც კი ვამჩნევთ სხვის გასაჭირს, სხვის ტკივილს. აქაც უამრავი ფაქტის დასახელება შეიძლება, მაგრამ ერთიც ნათელს ხდის ჩვენს ყოფას. მოგეხსენებათ, ამ ზაფხულს თბილისიდან ათიათასობით ოჯახი ვერ გავიდა და ბავშვები ვერ გაიყვანა ჰაერზე. ამას მრავალი მიზეზი აქვს: საგზურების, ტრანსპორტის, დასაქირავებელი სახლების სიძვირე და სხვა მრავალი ფაქტორი. გული გიკვდებათ, რომ ამ სიცხეში ბავშვებით სავსეა თბილისი, თქვენ წარმოიდგინეთ იმ მშობლის განცდა, რომელსაც ვერ გაჰყავს ბავშვი, სათანადო ფასების გამო ვერც ხილით ანებივრებს შვილს, ხილით ნაწილობრივ მაინც შეიძლებოდა უჰაერობის დეფიციტის კომპენსაცია და ამ დროს იმის საშუალებაც არა აქვს, რომ სიცხით გათანგული ბავშვის ელემენტარული მოთხოვნილება დააკმაყოფილოს — უყიდოს ნაყინი, რადგან ჩვენმა „მოღვაწე“ კომერსანტებმა უცბად 8 და 10 მანეთი გახადეს ნამცეცი ნაყინი, ხოლო ზოგიერთი საქმოსანი ისე გათავხედდა, რომ ქარხნული წესით გამოშვებულ 250 გრ ნაყინს 40 მანეთად ყიდის. ამასაც ვერ ამჩნევენ ვერც სამართალდამცველი ორგანოები და ვერც სახელმწიფო საბჭოს წევრები. თუმცა რა დროს ნაყინზე ლაპარაკია, როდესაც ყოველდღე გვიხოცავენ და გვიძარცვავენ მოქალაქეებს. ბატონმა თენგიზ სიგუამ ბრძანა, რომ 15 მაისამდე ყველამ უნდა ჩააბაროს კერძო მფლობელობაში მქონე იარაღი და გაუქმდეს არასახელმწიფოებრივი სამხედრო ფორმირებებიო და ესეც ფარატინა ქაღალდად იქცა. სწორედ 15 მაისიდან მომრავლდა ძარცვაცა და მკვლელობებიც. ვერც აქ იღონა რაიმე სახელმწიფო საბჭომ.

სახელმწიფო საბჭოში ერთმანეთს ეჯიბრებიან ეროვნული საკითხების წამოჭრაგადაჭრაში და არცერთი არ ფიქრობს იმაზე, რომ ბაკურიანსა და საერთოდ ბორჯომის ხეობიდან წასული ოსების სახლ-კარი და კარმიდამო დაიკავეს ან შეისყიდეს არაქართველმა მოქალაქეებმა, ეს არც ბორჯომის პრეფექტურას აფიქრებდა და არც სახელმწიფოს საბჭოს აწუხებს. ამდენი ტკივილი, უსახლკარო ადამიანი გვყავს და გამოთავისუფლებულ ბინებში, კარმიდამოში რატომ მათ არ ვამკვიდრებთ? თუ კერძო ბინა ან კარმიდამოა, განა არ შეიძლება სახელმწიფომ, ამდენმა მდიდარმა საწარმომ ლტოლვილებსა და უსახლკარეობს შეუძინოს, რატომ ხდება რომ გამონთავისუფლებულ ბინებში სხვა ტომის ხალხი მკვიდრდება! ხალხნო დაუფიქრდით, ეს საგანგაშოა! ხვალ ოსებზე უფრო დიდი ახალი პრობლემა გაჩნდება. სახელმწიფო საბჭო კი დუმს.

იმავე ბორჯომის ხეობაში ნაძვები და ფიჭვები შეყავისფერებულია, კატასტროფის წინაშეა ტყის მასივი. არც ესაა ფიქრისა და ზრუნვის საგანი.

კადრებთან დამოკიდებულების საკითხზე მსჯელობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს ერთი გარემოება: ფასდაუდებელი დამსახურება აქვთ იმ მომიტინგეებს, რომელიც იმოღვაწეს კომუნისტური სტრუქტურის დარღვევაში, მათი თავკაცები საგანგებოდ უნდა იქნენ დაჯილდოებულნი და დიდი პენსიებიც უნდა დაენიშნოთ. მაგრამ ამ მომიტინგეთაგან ბევრი პროფესიონალურად მეტად დაბალი დონის აღმოჩნდა, რის გამოც ვერ უძღვებიან პასუხსაგებ თანამდებობას, ვერ წარმართავენ საქმეს და ქვეყანა კატასტროფამდე მიჰყავთ. დღეს კვლავ ბოლშევიკებისა თუ „მრგვალი მაგიდის“ გინებით საქმე არ გაკეთდება. ეს განვლილი საფეხურია, ეს დახარჯული კაპიტალია და ამით სპეკულაცია არაფრის მომტანია. დღეს საქმეა საჭირო და სწორედ საქმიანი ხალხი უნდა ჩაუდგეს სათავეში წარმოებებსა და უწყებებს. მარტო „მომიტინგეობის სტაჟი“ ვერაფერი თანამდებობის გამოცდილება. აღვადგინოთ ანტიკური ბერძნების მიერ დამკვიდრებული სიკოფანტის ინსტიტუტი, რაც შემდეგში მდგომარეობს: დამნაშავეს — ეს იქნებოდა ნებისმიერი უწესობიდან დაწყებული სახელმწიფო მოღვაწეობით დამთავრებული, ასეთ სუბიექტს გარდა იურიდიული კოდექსით გათვალისწინებული სასჯელისა ახდევინებდნენ გარკვეულ თანხას დაწყებული ჯარიმით და დამთავრებული ქონების კონფისკაციით, რასაკვირველია, ეს იყო დანაშაულის შესაბამისი ჯარიმა — კონფისკაცია. ამ თანხას კი ანაწილებდნენ. ჩვენთანაც ამ თანხის განაწილება უნდა მოხდეს შემდეგნაირად, ჩამორთმეული თანხის მაგ. 10 პროცენტი ოპერატიულ მუშაკს, 10 პროცენტი გამომძიებელს, 10 პროცენტი მოსამართლეს, 10 პროცენტი პროკურორს, 5 პროცენტი შინაგან საქმეთა სამინისტროს, 5 პროცენტი პროკურატურას და ა.შ. გარკვეული პროცენტი კი სახელმწიფოს (ჩვენ ეს ზოგადად წარმოვადგინეთ. ამას უნდა სერიოზული, მეცნიერული დამუშავება). ეს თანხა სამართალდაცვის თანამშრომლებს იმდენად გაუზრდის შემოსავალს, რომ ისინი აღარც იფიქრებენ არაკანონიერ შემოსავალზე და რაც მთავარია, დამნაშავეც ისე გაღატაკდება, რომ სამართალდამცველი ორგანოების მუშაკთა მოქრთამვის საშუალებაც არ ექნება. მე ზოგადად გესაუბრებით, თუ გაიზიარებთ ამ მოსაზრებას, მაშინ სპეციალისტების თანადგომით თანამედროვე სიტუაციის შესაბამისად განვავითაროთ სიკოფანტის ეს გონივრული ინსტიტუტი.

საგანგებო და მეტად სერიოზული ახალგაზრდობის საკითხი. უპატრონობით უამრავი ახალგაზრდა გვეღუპება. გვეღუპება მკვლელობით, ნარკომანიით, რომლის შესახებ არაერთხელ თქმულა და აღარ გავიმეორებთ. ამჯერად კი გვინდა ყურადღება მივაქციოთ ქვეყნის იმ დამღუპველ ფაქტორს, რომელიც ვლინდება ჩვენი ბავშვების სანაშენავი ახალგაზრდების საქართველოდან წასვლისას და მიდიან სწორედ მშრომელი, საქმიანი, მაღალი პროფესიონალური დონის ვაჟკაცები, რომელთაც ჩვენი სიდუხჭირე და განუკითხაობა თავიანთი ნიჭისა და უნარის გაშლის საშუალებას არ აძლევს. საზღვარგარეთს რომ თავი დავანებოთ, რუსეთი სავსეა მაღალი კვალიფიკაციის მქონე საქმიანი ქართველი ჭაბუკებით, რომელთაც იქ დიდი საქმე აბარიათ და შესანიშნავად უძღვებიან მას. მთავრობამ და სახელმწიფო საბჭომ სასწრაფო ღონისძიება უნდა მიიღოს, რათა ეს ეროვნული სიმდიდრე და იმედი დაუბრუნდეს სამშობლოს. მათ ჩაბარდეს შესაბამისი საქმეები (მერწმუნეთ, ჩვენი ცხოვრება, დონე და სტილიც შეიცვლება და ეს ათასობით ქართველიც არ დაეკარგება სამშობლოს. მერწმუნეთ, ეს დიდი და საშური პრობლემაა და ამის მოსაგვარებლად უფრო ქმედითად უნდა ამოძრავდეს როგორც მთავრობა, ისე სახელმწიფო საბჭო.

სახელმწიფო საბჭოს სათავეში უდგას მართლაც დიდი გაქანებისა და შესაძლებლობის კაცი, რომელიც ფანტასტიურ შედეგებს აღწევს საერთაშორისო ასპარეზზე და ბუნებრივია, შიდა საქმეებისათვის დრო და ენერგია აღარ რჩება, ან არ იცლიან იმ საქმეებისათვის, რომელსაც მთავრობა და სახელმწიფო საბჭო უნდა აკეთებდეს. კეთების ნაცვლად კი განყენებულ მსჯელობას და პრესასა და ტელევიზიაში კოკეტკობას უნდებიან. საქმისათვის კი ვერ იცლიან ან არც ისაა გამორიცხული, რომ არც აქვთ უნარი საქმის კეთებისა. მოკლედ, საქმიანი ხალხი ჩამოცილებულია საქმეს და დამოძღვრებებმა ამოწურეს ლიმიტი თავიანთი დამოძღვრებისა.

ოცნებაც კი არ შეიძლებოდა, ისეთ შედეგებს მივაღწიეთ საგარეო საკითხებში, ხოლო მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს ამარა დარჩენილი საშინაო საქმეები: მოქალაქის ფიზიკური დაცვა, ეკონომიკურ-სოციალური ყოფა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: პასუხისმგებელ მუშაკთა ასეთი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ხალხის გაჭირვების, მისი სატკივარის მიმართ ღალატის ტოლფასია. ამის შესახებ საგანგაშო ზარები უნდა შემოვკრათ.

ნახატი მ. აბაშიძისა

გზა და მიზანი

ახლოვდება არჩევნები და დღეს, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პარტიები ძალაუფლებას ელტვიან. შეიცვალა მათი სახელები, ბრძოლის მეთოდები კი იგივე დარჩა. ისევ იწყება იმ ღირსეულ ადამიანთა დევნა, რომლებსაც მხარდაჭერისა და გამარჯვების რეალური შანსები აქვთ, ისევ ატყდება დაუსაბუთებელ ბრალდებათა ტალღა ერის სამსხვერპლოზე თავდადებულთა.

საოცარია! თითქოს დაემხო ძველი შენობა, ისტორიას ჩაბარდა პიროვნების დევნისა და დათრგუნვის ლენინური პრინციპები, თითქოს სიკეთის სამსახურში ჩადგა ყველაფრისმცოდნე და ყველგანმწვდომი უხილავი ძალა, თითქოს... მაგრამ ჩვენს ლექსიკას მუდამ თან ახლავს ეს სიტყვა „თითქოს“, გასაქანს რომ აძლევს ეჭვს, უნდობლობას, შიშს... თითქოს ძირფესვიანად გარდაიქმნა ქვეყანა, მაგრამ ქვეყანას ადამიანი შეადგენს, ადამიანის სულში კი ცვალებადობა ძალიან ძნელად ხდება.

ალბათ თაობები უნდა შეიცვალოს, რომ აღმოიფხვრას მონობით გაჩენილი უამრავი კომპლექსი, მოვიდეს ნამდვილი თავისუფლება, გაჩნდეს ჭეშმარიტი რწმენა. მანამდე კი ყველაფერი მეორდება. ახალი მმართველობა სიტყვიერად ანადგურებს წინამორბედს, იცვლის სახელს, ახალი მიზნისკენ წარმართავს თავის მზერას, ბრძოლის მეთოდებს, არსებობის წესს კი მზამზარეული სახით სეხსულობს წინამორბედისაგან.

რა თქმა უნდა, ასე უფრო ადვილია. არსებული ფორმები, მეთოდები, გზები უკვე დახვეწილია, ისინი მისაღებნი არიან, რადგან თუ ბნელ წარსულში ბოროტების იმპერიას მსახურებდნენ, დღეს დასახულია ახალი მიზანი, შეიცვალა მათი დანიშნულება, მაშასადამე, ამ ახალი მიზნის სახელით გამართლება აქვს ძველ მეთოდებს, რადგან ეს ყველაფერი ახლა „ერის სასიკეთოდ ხდება“.

„მიზანი ამართლებს საშუალებას“ — ეს ბოლშევიკური დეკიზი საწუხაროდ ჩვენს დღევანდელობაშიც მოქმედებს. და ვხედავთ, რომ ფაქტობრივად არაფერი იცვლება — ისევ იდევნება ადამიანი, ისევ უხილავ ძალთა სამზნედაა ქცეული პიროვნება, რომელსაც შინაგანი პატიოსნება და ჭეშმარიტებად ქცეული ეროვნული იდეა უფლებას არ აძლევს მოიქცეს სხვაგვარად, და რჩება ეს პიროვნება კვლავ ოპოზიციაში, რადგან ამ ჭეშმარიტების შუქზე საკუთარი გონების თვალით ჭვრეტს ჩვენი ცხოვრების შუქ-ჩრდილებს.

რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმ სასიკეთო ძვრების არდანახვა, რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, მაგრამ ისევ და ისევ საჭიროა თავისუფალი აზრი ამ ცვალებადობათა შესაფასებლად. ჩვენ კი ისევ წრეზე ვტრიალებთ: რჩება მეთოდი, იცვლება თავდასხმათა ობიექტი. თუკი წინა არჩევნების დროს ეს გახლდათ მერაბ მამარდაშვილი, კაცი რომელიც შერწუნებული ხედავდა, თუ როგორ გადადიოდა მონობით დაგროვილი აგრესია ეროვნულ ფანატიზმში, ადამიანი, რომელიც იცავდა აზრისა და პიროვნების თავისუფლებას, დღეს ამ თავდასხმათა ობიექტად ბატონი ნოდარ ნათაძე გვევლინება. უხილავ ძალთა ისარი ახლა ბატონ ნოდარზეა მიმართული, რადგან მას უჭირავს განსაკუთრებული პოზიცია, გააჩნია საკუთარი აზრი და ეს არ არის შემთხვევით შექმნილი აზრი, იგი ქართველი ერის სამსახურში გატარებული ცხოვრებიდან იღებს სათავეს.

ნოდარ ნათაძე იმ პოლიტიკოსთა „ელიტას“ ეკუთვნის, რომლებმაც შეიძლება ითქვას, პირნათლად განვლეს დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზა. განვლეს, უპირველს ყოვლისა, თავიანთი ზნეობრივი სიმრთელის წყალობით და ეს ასეც უნდა იყოს. საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმთავრესი ორიენტირი ხომ შინაგანი ორიენტირია. სულიერი სიწმინდე, შინაგანი სიმართლე და რწმენა, ეს გახლავთ ის უმთავრესი, კაცის სულიდან ამოზრდილი ნიშანსვეტები, რომლითაც შეიძლება გზის გაკვლევა ნებისმიერ კრიზისულ სიტუაციაში.

ბატონი ნოდარის ეროვნული მოღვაწეობა სწორედ ასეთი, საკუთარ სულიერებასთან მართალი ადამიანის ქმედებაა. ამიტომ ყოველთვის შეიძლება ვენდოთ და დავუჯეროთ მას. ასეთი ადამიანების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ შეუძლებელია დაბრუნდეს უზნეობის ხანა. რაღაც მოხდა უკვე ჩვენს ცხოვრებაში, კრიზისის მიუხედავად დაიწყო შეუქცევადი პროცესი, პროცესი სულიერი გამოჯანმრთელებისკენ, რომელიც, ეჭვსგარეშეა, ეროვნულ მოძრაობასთან არის დაკავშირებული.

ამიტომაც გავუფრთხილდეთ იმ ადამიანებს, რომლებიც მართლად დგანან ამ მოძრაობაში, ნუ გადავაქცევთ სიტყვის თავისუფლებას სიტყვის ანარქიად, როცა შეიძლება დაცინვისა და შეურაცხყოფის ობიექტად ვაქციოთ ის, ვინც მხოლოდ მადლობას უნდა იმსახურებდეს თავისი ხალხისგან.

გასაგებია, რომ მიდის პოლიტიკური ბრძოლა, რომ ახლოვდება არჩევნები, რომ დღეს ზედმეტად მრავალფეროვანი პოლიტიკური პარტიები ძალაუფლებას ელტვიან, მაგრამ ისევ და ისევ უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანი არ ამართლებს საშუალებას, რომ ბოროტების გზით არ მიიღწევა სიკეთე.

მამუკა დოლიძე

დემოკრატია და ხალხის ნება

ვახტანგ ერქომაიშვილი

ხალხის ინტერესები

დემოკრატიის[1] პირობებში ხალხის ნება, როგორც ასეთი, იშვიათობაა. იგი თითქმის შეუძლებელია, რადგან ხალხი ორ ნაწილად — უმრავლესობად და უმცირესობად არის გაყოფილი. თანაფარდობა მათ შორის არ არის მუდმივი, იგი მერყევი და ცვალებადია. ის, რასაც დღეს უმრავლესობა მხარს უჭერს, ხვალ შეიძლება უმცირესობაში აღმოჩნდეს. ხელისუფლება, რომელიც უმრავლესობამ აირჩია, არ ნიშნავს, რომ იგი ყოველთვის მისი მხარდაჭერით სარგებლობს. შეიძლება მან თავისი უგუნური პოლიტიკით ნდობის მანდატი დაკარგოს. ხელისუფლება, რომელსაც მხოლოდ ის ახსოვს, რომ იგი უმრავლესობამ აირჩია, ამით თავის პოლიტიკურ კანონიერებას ვერ გაამართლებს. ის მართლაც კანონიერად არჩეულია, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მისი ქმედება კანონიერი როდია. ამის კრიტერიუმია ერთი რამ: რამდენად მოქმედებს იგი არსებული კანონების შესაბამისად. არღვევს თუ არა მათ. თუ ხელისუფლება კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სჩადის, მაშინ იგი არაკანონიერია, თუნდაც კანონიერად იყოს არჩეული. ასე რომ, ხელისუფლების არჩევნების კანონიერება მისი ლეგიტიმურობის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი მაჩვენებელია. აქ პირველ პლანზე გამოდის კანონის უზენაესობის პრინციპი.

ხელისუფლებას არჩევს უმრავლესობა და არა მთელი ხალხი. მიუხედავად ამისა, იგი ვალდებულია იზრუნოს და დაიცვას არა მარტო თავისი ამომრჩევლების, არამედ მთელი მოსახლეობის ინტერესი. ის, ვინც იგი აირჩია და ის, ვინც იგი არ აირჩია, სარგებლობენ ერთი და იმავე უფლებებით და ერთნაირად სთხოვენ პასუხს ხელისუფლებას. იგი მოვალეა ორივეს ინტერესები დაიცვას. ამის აუცილებელი პირობაა ის, რომ ხელისუფლებამ დაიცვას კანონიერება და აღკვეთოს მისი დარღვევა.

დემოკრატიის პირობებში ხელისუფლება არ გამოხატავს ხალხის ნებას, მაგრამ ვალდებულია დაიცვას მისი ინტერესები. რა დამოკიდებულებაა ხალხის ნებასა და ინტერესებს შორის? ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. ხალხის ნება, როგორც ადრე განვმარტეთ, არის ის გადაწყვეტილება, რომელიც მან თავისუფალი არჩევნების საფუძველზე მიიღო. ხალხის ინტერესები კი გამოხატავს იმ სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილება და უზრუნველყოფა აუცილებელია მისი ნორმალური არსებობისა და ფუნქციონირებისათვის. ხალხის ნება ყოველთვის არ შეესაბამება მის ინტერესებს. ხალხს ყოველთვის არ სურს ის, რაც მის სასიცოცხლო ინტერესებში შედის, მაგალითად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს განეკუთვნება, მაგრამ უმრავლესობა დღეს მას მხარს არ უჭერს, რადგან მისი განხორციელება ჯერ-ჯერობით მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებას იწვევს. ხელისუფლება თავის საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს არა ხალხის დადგენილებებით და გადაწყვეტილებებით, არაშედ მისი სასიცოცხლო ინტერესების კანონიერი საშუალებებით დაკმაყოფილებითა და დაცვით. ხელისუფლება უნდა ასრულებდეს არა ხალხის ნებას, არამედ კანონს. ისინი არა თუ არ ემთხვევა ერთმანეთს, არამედ ხშირად უპირისპირდება. ხელისუფლებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს მათ შესათანხმებლად, მაგრამ თუ წინააღმდეგობა წარმოიშვა მათ შორის, მაშინ უპირატესობა კანონს უნდა მისცეს. კანონი ყველაზე და ყველაფერზე, მათ შორის ხალხსა და მის ნებაზეც მაღლა დგას.

საქართველო და დემოკრატიზაციის პროცესი

საქართველო 1918 წელს დაადგა დემოკრატიზაციის გზას, როდესაც განთავისუფლდა რუსეთის იმპერიისაგან. 1921 წელს ბოლშევიკურმა რუსეთმა შეაჩერა მისი სვლა ამ გზით და დამყარდა დიქტატურა, რომელმაც თითქმის 70 წელს გასტანა. 1990 წლის ოქტომბერში კომუნისტური რეჟიმი ეროვნულმა ხელისუფლებამ შეცვალა. თითქოს დემოკრატიის გზას უნდა დადგომოდით, მაგრამ მოხდა პირიქით — დამყარდა ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც აშკარად დიქტატურისკენ ისწრაფოდა. 1992 წლის იანვარში იგი იარაღის ძალით დამხო დემოკრატიულმა ძალებმა. მოვიდა ახალი ხელისუფლება.

არის თუ არა დღეს დემოკრატია საქართველოში? არა, არ არის. გულუბრყვილობაა იმის ფიქრი, რომ საქართველოში ასე მალე დამყარდეს დემოკრატია. ამას რამდენიმე ათეული წელი მაინც დასჭირდება. მაშინ რისთვის ვაკრიტიკებთ წინა ხელისუფლებას — ბუნებრივად ისმის კითხვა. წინა ხელისუფლებას ვაკრიტიკებთ არა იმისათვის, რომ მან დემოკრატიის დამყარება ვერ მოასწრო. ცხადია, ის ამას დროის იმ მოკლე მონაკვეთში ვერც მოახერხებდა. ჩვენ მას ვაკრიტიკებთ იმისთვის, რომ იგი დადგა ანტიდემოკრატიულ გზას. მან გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომლებიც აშკარად დემოკრატიის საპირისპირო იყო: პრეფექტის ინსტიტუტის შემოღება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაქვემდებარება ხელისუფლებისადმი, ოპოზიციის დევნა და სხვა.

ახალი ხელისუფლება არადემოკრატიული გზით მოვიდა. მან გაიმარჯვა არა არჩევნებში, არამედ იარაღით. მაგრამ იგი დადგა დემოკრატიის გზას, რაზეც მეტყველებს შემდეგი ფაქტები: პრეფექტის ინსტიტუტის გაუქმება, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განსახელმწიფოებრიობა, ოპოზიციის დაშვება და სხვა. ცხადია, ყველა მისი ნაბიჯი დემოკრატიული არ არის: საგანგებო წესების შემოღება, მიტინგების დარბევა და სხვა. მაგრამ ძირითადი ტენდენცია და მიმართულება დემოკრატიისაკენ აშკარაა. ამის დამადასტურებელი ფაქტია თავისუფალი არჩევნების დანიშვნა ოქტომბრის თვეში. ხალხს მიეცემა საშუალება გამოავლინოს თავისი ნება და აირჩიოს პარლამენტი, რომელსაც უკვე ექნება კანონიერი უფლებამოსილება.

ზოგიერთს საეჭვოდ მიაჩნია ამ არჩევნების კანონიერება. მათი არგუმენტია შემდეგი: სახელმწიფო საბჭო უკანონოა, ამიტომ მის მიერ დანიშნული არჩევნებიც უკანონოა. არაკანონიერი ხელისუფლების მიერ მიღებული კანონი არჩევნების შესახებ ვერ იქნება კანონიერი.

თუ ამ არგუმენტს გავიზრებთ, მაშინ წინა ხელისუფლებაც უკანონოდ უნდა მივაჩნიოთ. ეს როგორ? შემოგვედავებიან აღშფოთებით, მან ხომ არჩევნებში გაიმარჯვა? რასაკვირველია, ეს ჩვენ არ მიგვაჩნია სადავოდ. თუმცა ზოგიერთი თვლის, რომ ეს არჩევნები დიდი დარღვევებით ჩატარდა. სხვები კი პირიქით თვლიან, რომ არავითარ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. დღეს შეუძლებელია გარკვევა თუ რამდენად სერიოზული იყო დარღვევები, რომელთაც შეეძლოთ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არჩევნების შედეგებზე. მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც დაადასტურებენ დარღვევების ფაქტებს, მაგრამ ასევე მოიძებნებიან ისეთებიც, რომლებიც ამგვარ ფაქტებს კატეგორიულად უარყოფენ. ამიტომ ახლა დავა ამ საკითხზე უაზრო და გაუმართლებელია. ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ ფაქტიდან, რომ არჩევნები ძირითადად კანონიერების დაცვით ჩატარდა.

ჩვენ ეჭვის ქვეშ ვაყენებთ არა არჩევნების მიმდინარეობას, არამედ თვით მისი დანიშვნის კანონიერებას. ვინ დანიშნა იგი? ვინ მიიღო კანონი მისი ჩატარების შესახებ? კომუნისტური რეჟიმის პირობებში შექმნილმა უზენაესმა საბჭომ. ხომ ყველა თანახმა ვართ, რომ ეს საბჭო არაკანონიერად იყო შექმნილი. ყველამ ვიცით თუ როგორი ფარსით და სიყალბით ტარდებოდა იმ დროს არჩევნები. ცხადია, რომ იმ უზენაეს საბჭოს არავინ არ მიიჩნევს კანონიერად, ამიტომ არც მის მიერ დანიშნული არჩევნები უნდა ჩაითვალოს კანონიერად. მაშასადამე, თუ ზემოთწამოყენებულ არგუმენტს გავიზიარებთ, მაშინ 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებიც უნდა მივიჩნიოთ არაკანონიერად, რადგან მისი ჩატარების შესახებ კანონი მიიღო კომუნისტურმა უზენაესმა საბჭომ, რომელიც უკანონოდ იყო შექმნილი.

ხოლო თუ ლოგიკის ელემენტარული ნორმების დარღვევით 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებს მაინც კანონიერად მივიჩნევთ, მაშინ რა დაუშავა 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებმა? ის ხომ არა, რომ იგი დანიშნა არაკომუნისტურმა სახელმწიფო საბჭომ და არა კომუნისტურმა უზენაესმა საბჭომ? ნუთუ კომუნისტური უზენაესი საბჭო უფრო კანონიერი იყო, ვიდრე ახლანდელი სახელმწიფო საბჭო? თუ პირველის მიერ დანიშნულ არჩევნებს ვამართლებთ, რატომ არ შეიძლება გავამართლოთ მეორის მიერ დანიშნული არჩევნები? მაგრამ აქ ლოგიკა იცვლება სურვილით: ზოგიერთს უბრალოდ არ სურს

მიზანი ამართლებს საშუალებას

ეროვნული ფანატიზმი

ეროვნული ფანატიზმი

**ეროვნული ფანატიზმი

„გული დაიცხრეთ, ბატონებო!“

ლოვარდ ტუხაშვილი

„სამეფო ამალა“

ძველი სიბრძნეა: „თუნდაც აგინე მეფეებს, ოღონდ მიეფერე ფავორიტებს“. მე პირიქით გავაკეთებ — რადგან ერთი „მეფე“ უკვე დაამხეს „ფავორიტებმა“, ახლა მეორე „მეფეა“ საშიშროების ზღურბლზე სხვა „ფავორიტების“ ჭარბი გულმოდგინეებით. ფორმულა: მეფე + ხალხი, პრაქტიკულად გაკოტრდა. წარმოიქმნა „ტრიადა“: მეფე + ამალა + ხალხი. ამ „სამების“ მესამე ჰიპოსტასიც (წაწილიც) გაქრა. „სამეფო ამალამ“ ჯერ ლიდერი აქცია ბელადად და გათიშა ხალხისაგან, მერე კი... თითქოს აღსდგა XVII—XVIII საუკუნეების ევროპული განსანათლებლების იდეალი — „მეფეთა და ფილოსოფოსთა კავშირი“. ასეთი კავშირი შესაძლოა დადებითიც ყოფილიყო, თუ არა ერთი გარემოება: „ფილოსოფოსთა“ მანტიით გადაიფარა დახვეწილი ფუნქციონერების ვიწრო ჯგუფიც, საშინელ ექსპლოატაციას რომ უწევენ „მეფეს“.

თავდაჯერებული „ინტელექტუალიზმი“ აშვებული დილეტანტიზმის წინააღმდეგ

დღეს მასობრივი ფსიქოზი თრგუნავს გონს. ზეიმობს უწყინარი დილეტანტიზმი. იგი არავის არ აწუხებს. ადამიანები გულს მოიოხებენ, „ენას მოიკაკვებენ“, განუხტულნი დაიშლებიან. მიუღებელია დილეტანტიზმის გალაღება. არსებობს „ჩემი“ აზრი, „შენი“ აზრი, „მისი“ აზრი, აზრი „თავისთავადიც“ — ერთადერთი ჭეშმარიტება. თუ „ჩემი“, „შენი“ და „მისი“ აზრი მოგვლენის არსის გარკვევას ხელს უშლის, იწყება „ბუქსობა“. „ჩემი“ — ეგოიზმია, „შენი“ — მლიქნელობა, „მისი“ — გულგრილობა. პოლიტიკური კრიზისი შეუქცევადია მაშინ, როდესაც გალაღებული დილეტანტიზმი აგრესიული ხდება. ამ რეციდივმა დაღუპა ძველი ხელისუფლება. სანამ გამოუცდელობა საერთოდ არ ოფლებოდა, საშიში არაფერი იყო. მოგვიანებით იმძლავრა თვითრწმენამ და შედეგიც გამოჩნდა. ახლა ხდება პროფესიონალიზმის აღდგენა, მაგრამ გამარჯვებული „ინტელექტუალიზმი“ დასაშვებ ნორმას ასცილდა. დავიწყებულია, რომ წარმოებს თვისობრივად ახალი სახელმწიფოს შენება და არა ძველის რესტავრაცია. თუ „მრგვალებმა“ არ ივარგეს, ეს არ ნიშნავს, რომ „წითლები“ ყველაფერში უცოდველნი ვიყავით. ასევე „წითლების“ სიცუდე სრულიადაც არ გულისხმობს მათ მიერ ჩამოგდებული ნიკოლოზ I-ის კეთილშობილებას. მაშასადამე, პეტრე I-ის ლოზუნგი „მასწავლებელს დავეძებ“ ისევ აქტუალურია. არ გამოვა ნიშნის მოგებითი ძახილი „უვიცებმა წააგეს, ჭკვიანები დაებრუნდითო“. 1990 წლის 28 ოქტომბრის მაგალითი გაფრთხილებად უნდა იქცეს! „უვიცთა“ წაგებამდე, ჯერ „ჭკვიანებმა“ წააგეს... ბუმბონებმა სამჯერ დაიბრუნეს ტახტი და სამჯერვე დაკარგეს, რადგან „მათ ვერაფერი დაივიწყეს და ვერაფერი ისწავლეს“. დროის ყოვლი მოითხოვს შესაფერის გამოხმაურებას. ქართველებს გვახასიათებდა „დინასტიური“, „ქრისტიანულ-ქართული“, „ტრაიბალისტური“ (ე.ი. თემობრივ-კუთხური) პატრიოტიზმი. იგი, სამწუხაროდ, გადაიზარდა საშობლოს პერსონიფიცირებაში. ზოგი საქართველოს ხსნას ხედავდა ბ-ნ ზ. გამსახურდიას ფენომენში, მეორე, აწ უკვე უმრავლესობა, ბ-ნ ე. შევარდნაძეს თვლის ეროვნული გადარჩენის მთავარ გმირად. პერსონიფიცირება მარტო ჩვენთვის არ არის მახასიათებელი, მაგრამ სადაც და როდესაც გვხვდება, ყველგან ეროვნული ცნობიერების მოდუნების მაჩვენებელია. უკანასკნელმა წლებმა დიდი მახვილი ჩასცა მარქსისტულ თეორიას მასების როლის შესახებ. ისტორიულ პროცესს წარმართავს პიროვნება, ან ენერგიულ ადამიანთა ჯგუფი. აქტიურია მოსახლეობის ციცქნა ნაწილი, უმრავლესობა, ე.წ. მისი უდიდებულესობა — ხალხი მყვირალობისას ენებით გათანგულ ფურ-ირემს წააგავს, გამარჯვებულ ხარ-ირემს რომ ელოდება.

ბელადები მუდამ მასის სახელით ლაპარაკობენ, მასა კი პასიურია. ი. სტალინი ფლობდა სატანურ ინტუიციას, ჰქონდა ქვეშეცნეული ანალიზის უნარი. მან თქვა პირველად, რომ საქართველოს ბედს მართავდა ფეოდალთა (ე.ი. ენერგიულ ადამიანთა) ჟინიანობა და ბლეხთა გულგრილობა. ილიაც ჩიოდა, რომ ისტორიაში ხალხი არ ჩანდა. ხალხის კოლექტიური პასუხისმგებლობა რომ აღორძინდეს და გაძლიერდეს საერთო-ეროვნული გულისცემა, მაშინ აღარც ფეოდალთა ჟინიანობა იქნება საშიში და აღარც ერის ფერი განსარტა. აგორდა ტალღა. ორივეს მოქმედებას კახურად „გასწვრივი ყურება“ ჰქვია. ბ-ნი ვ. კვარაცხელია ტორეადორივით მხოლოდ ერთ ფერს აფრიალებს, რაც ამ ფერის (თუნდაც სასურველის) მიმართ რქბასრი ხარის გახელებას იწვევს. „გასწვრივ ყურებას“ პოლიტიკური დალტონიზმი მოსდევს.

ძნელი დასაძებნია ისტორიაში იბერიულ-კავკასიური ერთიანობა. სამაგიეროდ, XII—XIII ს-ში აშკარად გამოკვეთილად გვაქვს ქართულ-კავკასიური ერთიანობა. მეფეთა-მეფე თამარის „ყოველი საქართველო“ საერთო-კავკასიური სახელმწიფო იყო. ჩვენი ქვეყანა გახდა კავკასიური ბედი გახდება ამოსული თუ ამოსავალი ვარსკვლავის იმედის ანაბარად. ერის ცნობიერების დატვირთვა აშვებული დილეტანტიზმის დაძლევის გზით მოხერხდება. ეროვნული ენერგია საბაზრო ეკონომიკა არ გახლავთ, ყველამ ლაღად გამოფინოს პირადული გახელება.

იბერიულ-კავკასიური მიმართულება ევროპული სახლის წინააღმდეგ

იბერიულ-კავკასიური ერთობა ახალი კამათის საგანი გახდა, გარეგნულად ტერმინიც ხელოვნურია. არავის გაუგია ასეთი პოლიტიკური მოძღვრება. მაინც ეს იდეა, პოლიტიკურადაც და პოლიტიკის გარეშეც, საშიში არ არის. მისდამი მტრული დამოკიდებულება გამოიწვია დაპირისპირებამ ევროპული ერთიანობის ლოზუნგისადმი. ერთნი ამ იდეის რეალიზაციას შეუძლებლად მიიჩნევენ. დღეს მეცნიერული ჰიპოთეზებიც უტილიტარული მიზნით იხმარება. კავკასიური ერთობა ჩაითვალა ბ-ნ ზ. გამსახურდიას იდეოლოგიურ დოქტრინად. არა, ბატონებო, ამ იდეამ ოთხი ეტაპი გაიარა. 1. XI ს-ში ლეონტი მროველის მიერ შემუშავებული კონცეფცია, თარგამოსიანთა ერთობის შესახებ. 2. XII—XIII ს-ში დავით აღმაშენებლის ე.წ. „შერთული სახლებისა“ და მეფეთა-მეფე თამარის „არაშერთული“ სახლების ერთიანობის იდეა. 3. XV ს-დან XVIII ს-ის ბოლომდე რამდენიმეგზის დღის წესრიგში დადგა „კავკასიური სახლის“ საკითხი (ალექსანდრე I-ის, თეიმურაზ I-ის, ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის დროს). 4. 1918—21 წლებში საერთო-კავკასიური ან ამიერკავკასიური სახელმწიფოს შექმნის ცდები. 1919 წელს პ. ინგოროყვამ დაასაბუთა, რომ კავკასიური ან ამიერკავკასიური სახელმწიფო აბსურდია. მაგრამ რატომ არ შეიძლება ეს იდეა თუნდაც შორეულ პერსპექტივაში ერთ-ერთ გამჭოლ მიმართულებად დავსახოთ? გადაჭარბებულია, რომ იბერიულ-კავკასიური დაახლოება ბევრ სადღეისო პრობლემას გადაჭრის. მოწინააღმდეგენიც ცდებიან. როდესაც ამტკიცებენ, თითქოს ამ იდეას არ აქვს მომავალი. პოლიტიკურმა ბრძოლამ ლამის არის შეიწიროს მშვენიერი განზრახვა. გ. პეტრიაშვილის და ვ. კვარაცხელიას ტელედებატის დროს გამოიკვეთა ორივე მხარის სუსტი მხარეები. სწორხაზოვნებამ დათრგუნა ჭეშმარიტება. ბ-მა გ. პეტრიაშვილმა იბერიულ-კავკასიური ერთობა პრიმიტიულად დაუპირისპირა ევროპულ ორიენტაციას, რასაც ბ-ნი ვ. კვარაცხელიას ირონიული ღიმილი მოჰყვა. ა. ჩეხოვს აქვს მინიშნებული, რომ ირონიული ღიმილი რაღაცის დაფარვის საშუალებაა. ბ-ნი გ. პეტრიაშვილი უმისამართოდ იყენებდა აღნიშნულ კონცეფციას. ბ-მა ვ. კვარაცხელიამ კი ვერაფერი ერთიანობის ბირთვი. მოვა დრო და ეს პრობლემა დადგება დღის წესრიგში. მჯერა, თვით ბ-ნი ე. შევარდნაძე ამ პოლიტიკურ კონცეფციას გამოიყენებს რუსეთთან და თურქეთთან ურთიერთობაშიც.

ზედმეტია ვნებათაღელვა ევროპიზმის შესახებაც. ჩვენ ევროპელები ვართ, ევროპული ერთიანობისკენ სწრაფვა ჩვენი შინაგანი მოთხოვნილებაა. რა არის ევროპიზმი? უპირველესად, მოძრაობის თვისობრიობა, ანუ განვითარების მარად აღმავალი ხაზი, მსოფლიო კულტურის სინთეზი. მაგ.: ვინ არის შოთა რუსთაველის მემკვიდრე? არა ვინმე ნანუჩა, ან შოთა რუსთაველის ბარე სამი ათეული უბადრუკი ქართველი გამგრძელებელი, არამედ რენესანსული ან რენესანსის მომდევნო ხანის ევროპული აზროვნება. შოთა რუსთაველთან გაცილებით ახლოს დგას უილიამ შექსპირი, ვიდრე პატრიოტი, მაგრამ შეზღუდული მეფე-პიეტი არჩილი. ჩვენ მოვწყდით ევროპას 400 წლის წინ და ახლა ებრუნდებით ბუნებრივ მდგომარეობაში. სირთულე სხვა სფეროშია: ევროპიზმი არის, ვიმეორებთ, მოძრაობა. ეს არ ნიშნავს არც სექსუალურ რევოლუციას და არც ჰომოსექსუალიზმის ზეიმს. ქართველი კაცი ეაღდგებულია მილოს ევროპიზმი, როგორც მოძრაობის უმაღლესი ფორმა, ოღონდ მოვალეა ებრძოლოს მოვლენებს, რომლებიც ევროპაშიც ანომალურ გადახრად ითვლებიან. ევროპიზმი კარგი ტონის პოლიტიკურ და კულტურულ მოდად ითვლება. ცნობილი ადამიანები უკვე თავისუფალ სექსზეც ალაპარაკდნენ. გახსოვთ XIX ს-ის „რუსეთუმეების“ პორტრეტი? „რუსეთუმეები“ იყვნენ განათლებულნიც და საცოდავებიც. ანალოგიური ხდება დღეს. ევროპიზმი ინტელიგენტურ სნობიზმად ჩამოყალიბდა.

დიახ, დაებრუნდებით ევროპაში, ოღონდ ევროპულ პრიზმაში გატარებული საკუთარი კულტურით. ჩვენ თავის დროზე ბიზანტიზმი დავძლიეთ ბიზანტიური კულტურის კრიტიკული ათვისებით. მსგავსი გზის გავლა მოგვიწევს ახლაც.

ე.წ. „მეოთხე ხელისუფლების“ შესახებ

უკვე აღნიშნული გვქონდა ერთი კურიოზული „კაზუსის“ შესახებ. ათიოდე წლის წინათ მოდაში იყო გამოთქმა: „ჟურნალისტიკა მეორე უძველესი პროფესიაა“. ამაყობდნენ ამით ჟურნალისტები. გამოთქმა ისმოდა რადიო-ტელევიზიიდან, სპექტაკლებიდან. ასე გრძელდებოდა დიდხანს, სანამ „ვიღაცამ“ „ზევიდან“ არ განმარტა, რომ პირველი უძველესი პროფესია იყო პროსტიტუცია და მეორე უძველეს პროფესიად ჟურნალისტიკის მიჩნევა იყო საშინელი შეურაცხყოფა. ამგვარად აიტეხეს ახალი გამოთქმა „ჟურნალისტიკა არის მეოთხე ხელისუფლება“. „მეოთხე“ რიგობითი სახელია და ნიშნავს პირველის, მეორის და მესამის მომდევნოს. ბ-ნო ტელეჟურნალისტებო, მითხარით: დღეს საქართველოში რომელია პირველი, მეორე და მესამე ხელისუფლება, რომ თქვენ ჩაითვალოთ მეოთხე ხელისუფლებად? აი, რობესპიერს „აწყობილად“ ჰქონდა საქმე. იაკობინიზმის დროს იყო სამი ხელისუფლება: კონვენტი, ეგზალტირებული ბრბო და გილიოტინა. ი. სტალინთანაც ყველაფერი გარკვეული იყო: მუშა, გლეხი, „წითელი პროფესორი“ და ამხანაგი მაუზერი. გასული წლის მაისში ორი ფრანგი ჟურნალისტი მოვიდა უზენაეს საბჭოში. მე ვკითხე სტუმრებს: „თქვენ მეოთხე ხელისუფლება ხართ?“ ორივენი დაიბნენ. ბოლოს მიპასუხეს, რომ ისინი ჟურნალისტები არიან და რწმუნებით სომეხი ჩაქარია აკრესპასალარი, ებრაელი ზანან ბიბა-ბაბელი, სერიოზის (დაოსტატების) მოკავარი, ყიუაღი ყუბასარი, ბულგარელი დვინელი ყადიც. თავდაჯერებული „ინტელექტუალიზმი“ ხელს უშლის სიმართლის გარკვევას. ნაციონალიზმის შიშით ამახინჯებენ ქრისტიანული მორალის გაგებასაც და ევროპულ ჰუმანიზმსაც. ქართული ნაციონალიზმი ქრისტიანულ ლიტერატურაში ჩაისახა და გამძაფრდა. საერო მწერლობა განაციონალისტებულ ორთოდოქსალურ ქართველ სამღვდელოებას დაუპირისპირდა. არ ვიცი, იცნობდნენ თუ არა ერთმანეთს ორი ტიპანი: კათალიკოზი ნიკოლოზ გულაბერიძე და შოთა რუსთაველი, მაგრამ ერთმანეთის „მტრები“ იქნებოდნენ. [illegible] თამარის ეპოქის ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგია, მეორეს კი მცირედ თუ მოიძებნება საშობლოს თემა. იცით, რატომ? [illegible] ნიკოლოზ გულაბერიძე პოლიტ[illegible] იყო. შოთა რუსთაველი კი [illegible] ერანგის, ოღონდ [illegible] დღეს რომ თავისი [illegible] ერთს ნაციონალი[illegible] მეორეს ინტერნა[illegible]

[illegible] „რიგი“, [illegible] ურთიერთობა [illegible] თვისობრიობათა [illegible] ბას. „შე-რიგება“ თანასწორთა ურთიერთსწრაფვაა და არა ერთის მიერ მეორის შთანთქმა. ძალიან ცოტა კეთდება დაპირისპირებულთა ღირსების შენარჩუნებით, საერთო ქართული შეთანხმების მისაღწევად. ერის გახლეჩის დროს ყოველთვის შუამავლად გამოდიან: ეკლესია, მშვენიერი სქესი, ინტელექტუალთა წრეები და სწორედ ჟურნალისტიკა. აქედან სამი მაინც ნეიტრალობის მიღმა აღმოჩნდა. ინტელიგენციის ნაწილმა და ჟურნალისტთა გამოკვეთილმა ჯგუფმა ვერაფრით ვერ დასძლია რევანშის გრძნობა. ინტელიგენცია გახდა ახალი ხელისუფლება, ჟურნალისტიკა გადაიქცა მის სუბ-დანამატად (ანუ ქვე-ხელისუფლებად). ყოველგვარ ქმედებას აპირობებს მოტივი და მიზანი. პირველი ქვეშეცნეულია ან ინსტიქტური, მეორე — წინასწარ დაგეგმილი. თუ მოტივმა მიზანი დაირღვა, შედეგი საპირისპირო ხდება. რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვეულებრივი „სამოქალაქო ომის“ გარდა, მაღალ ეშელონებში მიდის ბრძოლა „ადგილისათვის სამეფო ამალაში“. ვიწრო წრემ მოახდინა საზოგადოებრივი აზრის მონოპოლიზება. ერთისთვის გადაიღობა გზა, „მეორეებმა“ „გაიჯვეჯილეს“. იანვარში დადგა საკითხი ალტერნატიული გადაცემების აღდგენისა. თავიდან ერთ წუთში 4 000 მანეთი მოითხოვეს, მერე 12 000 მანეთი. „სიბრალულით“ ეუცქერდი და ეუცქერი ერთ „ინტელიგენტს“, რომელმაც ამ 6 თვის განმავლობაში 6 საათი მაინც დაჰყო ტელეეკრანთან. ე.ი. მან 5 მილიონი მანეთი გადაიხადა(?). სასაცილოა ცნობაც, რომ სახელმწიფო საბჭოში „ვინმე აქტივისტმა“ 87-ჯერ მოახერხა მიკროფონთან მისვლა. იბადება ეჭვი, ასეთ ეინიან ადამიანებს სურთ შერიგება? შერიგება აუცილებლად არის **ხელისუფლების გადანაწილებაც!** ზოგიერთს კი სავთერო და სამიკროფონო დროის ნაწილობრივი გადანაწილებაც აღიზიანებს! შერიგებამ უნდა გამორიცხოს „დამარცხებულის“ კაპიტულაცია „გამარჯვებულის“ წინაშე.

ძველი ხელისუფლების დამხობის შემდეგ ნახევარი წელი გავიდა. ეს ძალზე მცირეა ყველა პრობლემის გადასაჭრელად, თუმცა სრულიად საკმარისია გამარჯვებით თრობისაგან გამოფხიზლებისათვის. გამარჯვებით თრობა საშინელი სენია, ხოლო თუ ის ქრონიკულში გადაიზარდა, აუცილებლად მოჰყვება საზოგადოების დაშშლელი ან დამორგუნველი მექანიზმის ჩამოყალიბება. ჩვენთვის ერთიც მიუღებელია და მეორეც; პირველი სამოქალაქო ომს ნიშნავს, მეორე ახალი ტიპის დიქტატურას. საბოლოოდ კი ორივე მოვლენას მოყვება ახალი აფეთქება, უფრო საშინელი და წამლეკავი...

ამიტომაც მახსენდება ალექსანდრე I-ის ნათქვამი, პარიზში დაბრუნებულ ბურბონებს რომ მიმართა: „გული დაიცხრეთ, ბატონებო!“

12.07.92 წ.

ნოდარ ნათაძე:

პარლამენტი ცოცხალია

დასაწყისი მე-4 გვ.

იმ დროს ხელისუფლებას წარმოადგენდა. პარლამენტს ჰმართებს იმის კონსტატაცია, რომ სამხედრო საბჭოს ეს გადაწყვეტილება მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ ძალას, ჯერ ერთი, თვით ამ სამხედრო საბჭოს არალეგიტიმურობის გამო, მეორეც, იმის გამო, რომ ფაქტობრივი ძალით სახელმწიფოს მართავს ამღებ ხელისუფლებას, მსგავლიო პრაქტიკით, შეუძლია მხოლოდ იმგვარი ზომების მიღება, რომლებიც ეხება მის ქვეყნის მართვას მოცემულ მომენტში, მაგრამ არა ისეთისა, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის რაობასა და რაგვარობას თვით ამ ხელისუფლების წასვლის შემდეგ, ანუ, ასე ვთქვათ, „მარადიულად“. დროებით ხელისუფლებას შეუძლია თქვას „მე ვმართავ ქვეყანას ამა და ამ წესით, რადგან დღეს ასე ჯობია“, მაგრამ მას არ შეუძლია კონსტიტუციის შეცვლა! 1921 წლის კონსტიტუციის „აღდგენა“ დიდი იურიდიული გულუბრყვილობა იყო და გულუბრყვილობაზე ბევრად მეტი. შეიძლებოდა მხოლოდ იმის გამოცხადება, რომ **ორიენტაციას ვიღებთ** ამ კონსტიტუციის აღდგენაზე რედაქტირებული სახით და ვამზადებთ ამ ახალ რედაქციას, რომელიც ახალ პარლამენტს წარედგინება. რა თქმა უნდა, არძინბას ჯგუფის ავანტიურას მხოლოდ პარლამენტის დადგენილებით ვერ უპასუხებ, მაგრამ თავისი როლი, მე მგონი, ამ დადგენილებასაც ეკუთვნის.

არსებულ პარლამენტს შეუძლია გააუქმოს, ან დროებით შეაჩეროს მაინც, პრეზიდენტობის ინსტიტუტის არსებობა, რაც დაკმაყოფილებს იმ აღშფოთებას, რაც გამოწვეულია კანონიერი ხელისუფლების ძალად დამხობის ფაქტით. ესეც, რა თქმა უნდა, დაძაბულობას განმუხტავს ნაწილობრივ მაინც.

პარლამენტის სხვა ფუნქციები, ნაწილობრივ, უკვე ვახსენეთ. მთავარი, მაინც, დღევანდელ პირობებში, **ყოველი შემთხვევისათვის** მზაობა გახლავთ. საქართველო დღეს გზაჯვარედინზეა, ერთის მხრივ, ორგანიზებულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებასა და, მეორეს მხრივ, სისხლის ტბორად ქცევას შორის, რომელსაც ნებისმიერი მინიმალურად ორგანიზებული მტერი, როცა უნდა, მაშინ გადაუვლის და გადმოუვლის. ნუ დაგვავიწყდება ის, რაც ყველამ ვიცით თეორიულად, მაგრამ პრაქტიკულად არ გვახსენდება ხოლმე კრიტიკულ ვითარებაში. ჩვენში გამეფებული ქაოსი მხოლოდ ბუნებრივი ქაოსი არ არის. ჩვენ ის ტერიტორია ვართ, რომელზეც თითქმის 200 წელი იბატონა მსოფლიოს უძლიერესმა დესპოტურმა იმპერიამ და, რაღა თქმა უნდა, მარიონეტული ხელისუფლებისათვის ცნობილ აგენტურათან ერთად ამ ხელისუფლებისათვის უცნობი აგენტურაც შექმნა, ისე როგორც, მაგალითად, ხელისუფლებისათვის უცნობი აგენტურა ჰყავდა საფრანგეთში ან ინგლისში. ეს იმ ტიპის აგენტურა არ გახლავთ, როგორიცაა, მაგალითად, სუკის მიერ დამსმენად აყვანილი პოეტი ან მათემატიკოსი. ეს ნამდვილი, მოქმედი აგენტურა გახლავთ; კაცის გამქრობი, დივერსიის მომწყობი, იარაღის მიმტან-მომტანი და ქუჩის პროცესთა მარეგულირებელი. ისიც მსმენია (თუნდ „ჭორების აყოლად“ ჩამითვალოს), რომ დღეს საქართველოში ამ აგენტურის მხოლოდ ერთი შეოთხედია ამოქმედებული, დანარჩენი კი „დაკონსერვირებულ“ მდგომარეობაშია. სანამ საქართველოში რუსეთის ჯარი დგას, ამ აგენტურას, მეტაფორულად რომ ვთქვათ, სასიკვდილო ლახვარს ვერ ჩასცემთ თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რუსეთის არმიას თავის სისტემაში „გრუ“ — „გლავნოე რაზვედუპრავლენიე“ — ჰყავს. მაგრამ უკვე დიდი ხანია, საჭიროა ზომების მიღება მისი გავლენის შესასუსტებლად, მაგალითად, საჭიროა სახელმწიფოს მიერ ოფიციალური პოზიციის გაცხადება იმაზე, თუ როგორ განვასხვავებთ, პასუხისმგებლობის მხრივ, იმ აგენტს, რომელიც მხოლოდ აქამდე მუშაობდა ჩვენს წინააღმდეგ, და იმას, რომელიც ამიერიდან კიდევ იმუშავებს. მაპატიეთ, რომ თემას გადავუხვიე, მაგრამ ეს, რაზედაც მოგახსენებთ, ძალიან არსებითი გარემოებად მიმაჩნია.

ესაუბრა
გიორგი უკლება

საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზს აუცილებლად მიაჩნია, რომ ჩატარდეს სრული გამოძიება საქართველოს ახლო წარსულის რიგი მოვლენებისა, რომლებიც დაკავშირებულია განსაკუთრებით მძიმე ძასუხისმგებლობასთან ქართველი ერის წინაშე. კერძოდ, უნდა გამოძიებულ იქნას:

ა) როგორ, ვის მიერ და რა პირობებში განხორციელდა დივერსიული და დიდმასშტაბიანი ძარცვის აქტები, სისხლის ღვრით, დასავლეთ საქართველოში აწ. ზამთრიდან დღემდე.

ბ) რა პირობებში მოხდა გადაწყვეტილების მიღება თბილისიდან დასავლეთ საქართველოში სამოქმედოდ აწ. ივნისის დამლევს „მხედრიონის“ გაგზავნის შესახებ.

გ) როგორ და რა პირობებში მიმდინარეობდა „მხედრიონსა“ და მასთან დაპირისპირებაში მყოფი შეიარაღებული ჯგუფების მოქმედება დასავლეთ საქართველოში ივნისის დამდეგიდან დღემდე.

ამ მოვლენების ობიექტური გამოძიების უზრუნველყოფა დღეს და — თუ ეს დღეს შეუძლებელი აღმოჩნდა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის არასრულყოფილების გამო — მომავალში საქართველოს სახალხო ფრონტს მიაჩნია ქართველი ერის უმნიშვნელოვანეს ამოცანად და დღეს ასპარეზზე მყოფ თაობათა უმნიშვნელოვანეს მოვალეობად ისტორიის წინაშე.

საქართველოს სახალხო ფრონტს აუცილებლად მიაჩნია განაცხადოს, რომ, საქართველოს უკანასკნელი სამოცდაათი წლის ისტორიის გათვალისწინებით, იგი საჭიროდ მიჩნევს საგანგებოდ გამოძიებულ იქნას, სათანადო შესაძლებლობის გაჩენისთანავე, ყოფილი იმპერიის და მისი ამჟამინდელი სამართალმემკვიდრის საიდუმლო „სამსახურების“ როლი მიმდინარე პროცესებში. საქართველოს სახალხო ფრონტის პოზიცია დასავლეთ საქართველოში მიმდინარე დივერსიულ აქტებთან და ძარცვის მსხვილმასშტაბიან აქტებთან დაკავშირებით თავიდანვე იმაში მდგომარეობდა, რომ მათთან ბრძოლა უნდა განახორციელებინა მხოლოდ მილიციის, მუნიციპალური მილიციის ჩათვლით, ოპერატიული მუშაობის ფორმით, ხოლო შეიარაღებულ ძალთა გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ მათ მიერ რკინიგზის დაცვისა და შემადგენლობათა ბადრაგობის ფორმით.

მიღებულია სსფ დარბაზის მიერ

29 ივლისი 1992 წ.

ფირმა «მარეთი»

გიწვევთ სამოგზაურო
ჩინეთში — ბათუმი-ხაბაროვსკი-ხარბინი-ბათუმი

მოგზაურობის ღირებულებაა 190 ამერიკული დოლარი და 20 ათასი მანეთი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარჯები ბათუმიდან ბათუმამდე.

გარდა ამისა ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ
საგზურები შემდეგ კურორტებზე:
ქობულეთი, ბორჯომი,
ფასანაური, ციხისძირი.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, კაჟა-ფშაველას გამზირი 45, მე-13 სართული. პირველი ოთახი (მეტრო „დელისთან“ — „საქსოფმშენის“ მაღლივი შენობა).

ვყიდი ახალ რუმინულ სამზარეულოს „ნონა“ (აქვს კუთხის სავარძელი).
ცნობებისათვის დაკერეთ: 62-00-67, საღამოს 7-დან 10 საათამდე.



კომერსანტების, საწარმო-დაწესებულებების, ფირმებისა და კერძო პირთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ გარანტირებულნი იყოთ თქვენი ტვირთების უდანაკარგოდ და შეუფერხებლად გადაზიდვაში რკინიგზის ტრანსპორტით, რომელიც დღეს ყველაზე უფრო მოგებიანია სატრანსპორტო საშუალებათა შორის, მიმართეთ საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურს, ერთადერთ ოფიციალურ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია უდანაკარგოდ გადაიტანოს თქვენი ტვირთი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ საქართველოს ნებისმიერი საწყისი პუნქტიდან ყოფილი საბჭოთა იმპერიის ნებისმიერ ბოლო პუნქტამდე.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი,
თამარ მეფის გამზირი 15,
(რკინიგზის სამმართველოს შენობა მე-4 სართული),
ელსმენი: 99-47-25,
სადღეღამისო: 95-20-47,
99-47-75.

მას ასე! თქვენი სურვილი, ჩვენი საქმე!

გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში, როსტომ ჩხეიძის წერილის — „ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე“ — მესამე სვეტის მესამე აბზაცი ტექნიკური მიზეზით დამახინჯებულია და ასე უნდა იკითხებოდეს: „ყველაზე მაშხილებელი, რისი მოპოვებაც ძალდატანებით შეძლეს გამომძიებლებმა, იყო ერთ-ერთი შეთქმულის ჩვენება, ნაციონალისტური სულისკვეთება ოჯახისაგან, ჩემი შშობლებისაგან ჩამენერგა და კიდევ უფრო გაღვივდა და გაიფურჩქნა უნივერსიტეტის კედლებში იმ აღზრდის შედეგად, რასაც მიმართავდა ზოგიერთი პროფესორი, მაგალითად, კორნელი კეკელიძე და მიხეილ ზანდუკელიო“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს სახალხო ფრონტი თანაუგრძნობს
გიორგი პაპუნაშვილს
დის გარდაცვალების გამო.

ინდექსი 66447
ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ნოდარ
გრიგალაშვილი